

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მარიამ ფხაჭიაშვილი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების
საკითხები შპს „ავტო იმპორტის“ მაგალითზე**



ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
ნადეჟდა კვატაშიძე

თბილისი
2019

ანოტაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიზანია საწარმოს, ორგანიზაციის, კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგების ასახვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ეხმარება საწარმოს შესახებ ინფორმაციის მიღებაში.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა. ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ასევე ნაშრომში საუბარია ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენა.

თემაში განხილულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტები: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. ასევე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ყოველი მუხლის აღრიცხვის პრინციპებია განხილული.

მეორე თავის დასაწყისში მიმოხილულია საავტომობილო ბიზნესი საქართველოში. განხილულია შპს „ბიზნეს კონსულტაციის“ ჯგუფის სტრუქტურა. ამის შემდგომ, შპს „ავტო იმპორტის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაა წარმოდგენილი. კონკრეტული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ცალკეული მუხლებია განხილული მათი აღრიცხვის პრინციპებისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. მოცემულია გრაფიკები და ცხრილები მონაცემების თვალსაჩინოებისთვის.

თემის დასკვნაში განხილულია მიღებული და გაცემული სესხების თანხების რაოდენობა და მათი შემცირების გზები. ასევე, საუბარია კომპანიის რეზერვების შექმნის საჭიროებაზე.

შინაარსი

შესავალი.....	4
თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არსი და მომზადების პრინციპები	5
1.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არსი და დანიშნულება.....	5
1.2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება	19
თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება ავტომობილების იმპორტიორი საწარმოს მაგალითზე	39
2.1 საავტომობილო ბიზნესი საქართველოში.....	39
2.2 შპს „ავტო იმპორტის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება და წარდგენა.....	42
დასკვნა.....	68
გამოყენებული ლიტერატურა	71
დანართი	72

შესავალი

ყველა ორგანიზაციისათვის აუცილებელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება, რათა თავადვე შეაფასოს თავისი საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, ამის საფუძველზე გააკეთოს პროგნოზები და შეიმუშავოს მომავალი გეგმები. სწორედ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მნიშვნელობა განაპირობებს **თემის აქტუალობას**.

საკურსო პროექტის **კვლევის ობიექტია** ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, მისი არსი, ელემენტების აღიარება და შეფასება, მომზადების პრინციპები, ასევე, მისი საჭიროებისა და გამოყენების სარგებლიანობის ჩვენება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომხმარებლებისათვის.

პროექტის **თეორიულ და მეთოდოლოგიურ ბაზას** წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ შემუშავებული ბუღალტრული აღრიცხვისა (ბასს) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების კომიტეტის ინტერპრეტაციები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება 73 გვერდისაგან. სამაგისტრო ნაშრომი იწყება შესავლით, მასში განხილულია ორი თავი - თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არსი და მომზადების პრინციპები და თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება ავტომობილების იმპორტიორი საწარმოს მაგალითზე. 1-ლი თავი შედგება ორი ქვეთავისაგან: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არსი და დანიშნულება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება. მეორე თავი მთლიანად დათმობილია პრაქტიკული ნაწილისთვის.

მეორე თავის დასაწყისში განხილულია ზოგადად საავტომობილო ბიზნესი და მისი განვითარება ბოლო პერიოდში. შემდეგ განხილულია კონკრეტული კომპანიის სტრუქტურა და მშობელი კომპანიის სტრუქტურა. თანმიმდევრულად ჩამოილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შემადგენელი ელემენტები, განხილულია კომპანიის სააღრიცხო პოლიტიკა, მაგალითები ძირითად საშუალებებსა და მარაგებზე.

თემის ბოლოში არის დასკვნა რეკომენდაციებით და გამოყენებული ლიტერატურა.

თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არსი და მომზადების პრინციპები

1.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების არსი და დანიშნულება

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანია არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მათთვის, მოცემული საწარმოს რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. ასევე, ფინანსური ანგარიშგები ინფორმაციას იძლევა ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ამ მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საწარმოს აქტივები;
- საწარმოს ვალდებულებები;
- საკუთარი კაპიტალი;
- შემოსავლები და ხარჯები, მათ შორის, შემოსულობები და დანაკარგები;
- მესაკუთრეთა შენატანები საკუთარ კაპიტალში და მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე, განხორციელებული განაწილებები; და
- საწარმოს ფულადი ნაკადები.¹

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
- პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება;
- პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
- პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- განმარტებითი შენიშვნები, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

¹ ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - 2015.

ცალკეული ანგარიშგებები დანარჩენებისაგან განსხვავებულ ინფორმაციას მოიცავენ, მაგრამ დამოუკიდებლად ვერც ერთი მათგანი ვერ იძლევა მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას. ისინი ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციების სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენენ და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

ფინანსურ ანგარიშგებაში თვალსაჩინოდ უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგი ინფორმაცია:

- ანგარიშვალდებული საწარმოს დასახელება ან სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები და წინა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ ამ ინფორმაციაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება;
- ფინანსური ანგარიშგება ერთ საწარმოს ეხება თუ საწარმოთა ჯგუფს;
- საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი, ან ფინანსური ანგარიშგების პაკეტით და განმარტებითი შენიშვნებით მოცული პერიოდი;
- წარსადგენი ვალუტა; და
- ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვების სიზუსტის ხარისხი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მარეგულირებელი ჩარჩოების არსებობა აუცილებელია შემდეგი მიზეზების გამო:

1. ფინანსურ ანგარიშგებას იყენებენ ფართო სპექტრის მომხმარებლები - ინვესტორები, სესხის გამცემი დაწესებულებები, მომხმარებლები და ა.შ.
2. ფინანსური ანგარიშგება გამოსადეგი უნდა იყოს ამ მომხმარებლებისათვის;
3. უნდა იყოს შესაძარისი;
4. ფინანსურმა ანგარიშგებამ, სულ მცირე, გარკვეული ძირითადი ინფორმაცია მაინც უნდა მიაწოდოს მომხმარებლებს;
5. იგი ამაღლებს მომხმარებელთა ინფორმირებულობას ფინანსური ანგარიშგების შესახებ და მათ ნდობას ფინანსური ანგარიშგების მიმართ;
6. იგი არეგულირებს კომპანიების ქცევას თავიანთი ინვესტორების მიმართ.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს სტანდარტები) ეს არის სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ. ის მოიცავს: ა)

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს; ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს; გ) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის ინტერპრეტაციებს; ან დ) ყოფილი ინტერპრეტაციების მუდმივმოქმედი კომიტეტის (იმკ) მიერ გამოცემულ ინტერპრეტაციებს.² სწორედ ამ სტანდარტების საფუძველზე უნდა მოამზადოს საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი. თუ არსებობს შემთხვევა, რომელიც არ რეგულირდება ან სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომელიც სპეციალურად მოცემული ოპერაციის, სხვა მოვლენის ან გარემოებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა.

ბასს აღიარებს ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგ ძირითად დაშვებებს: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმოს არსი.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით. დარიცხვის მეთოდი ნიშნავს, რომ ფირმაში მომხდარი ნებისმიერი მოვლენა, ანუ სამეურნეო ოპერაცია (ფაქტი) უნდა აღიარდეს მოხდენისთანავე, ფულის გადახდის მიუხედავად. დარიცხვის მეთოდით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს გააცნობს არა მხოლოდ წარსულ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ფულადი საშუალებების გადახდასა და მიღებას, არამედ მომავალში გასანაღდებელ ვალდებულებებსა და მომავალი პერიოდის მოთხოვნებსაც. მაშასადამე, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინფორმაცია წარსულში მომხდარი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შესახებ, რომელიც სჭირდებათ მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

როდესაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს საპროგნოზო მომავალშიც. ე.ი. იგულისხმება, რომ საწარმო არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას, ან თავისი საქმიანობის მასშტაბების საგრძნობლად შემცირებას. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ

² ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - 2015.

არ მოიქცეს. თუ ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, საწარმომ შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და საფუძველი, რის მიხედვითაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება. ასევე მითითებული უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც საწარმო არ შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.

საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა წარადგინოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც.

ფინანსური ანგარიშგება ეყრდნობა კონცეპტუალურ საფუძვლებს, როგორცაა, მაგალითად, ბასსს-ის სტრუქტურული საფუძვლები; ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები იქმნება ამ კონცეპტუალური საფუძვლების ბაზაზე; და სწორედ, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები წარმოადგენს წესების ნაკრებს, რომელთა დაცვა ევალებათ კომპანიებს.

კონცეპტუალურ საფუძვლებში განსაზღვრულია კონცეფციები, რომლებიც საფუძვლად ედება გარე მომხმარებლებისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას. კონცეპტუალური საფუძვლების მიზანია, დაეხმაროს: ა) ბასსს-ს სამომავლო ფასს-ების შემუშავებასა და არსებული ფასს-ების სრულყოფაში; ბ) ბასსს-ს ფინანსური ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული პროცედურების, არსებული წესებისა და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ჰარმონიზაციაში, ფასს-ებით გათვალისწინებული ალტერნატიული სააღრიცხვო მეთოდების შემცირების გზით; გ) სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის ეროვნულ ორგანოებს ეროვნული სტანდარტების დამუშავებაში; დ) ფინანსური ანგარიშგების შემადგენლებს ფასს-ების გამოყენებასა და იმ საკითხების შესწავლაში, რომლებიც განხილულია ფასს-ებში; ე) აუდიტორებს ფინანსური ანგარიშგების ფასს-ებთან შესაბამისობის შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბებაში; ვ) ფასს-ების მოთხოვნების დაცვით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის აღქმაში; ზ) ბასსს-ის მუშაობით დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია მიაწოდოს ფასს-ების შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ.³

³ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

კონცეპტუალური საფუძვლები არის ურთიერთდაკავშირებული მიზნებისა და ფუნდამენტური პრინციპების ჯაჭვური სისტემა; ჩარჩოები, რომლებიც ადგენს ფინანსური აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თავისებურებებს, ფუნქციასა და შეზღუდვებს.

კონცეპტუალურ საფუძვლებში განხილულია შემდეგი საკითხები:

- ფინანსური ანგარიშგების დანიშნულება;
- სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები;
- ფინანსური ანგარიშგების ელემენტების განმარტებები, მათი აღიარებისა და შეფასების კრიტერიუმები;
- კაპიტალისა და კაპიტალის შენარჩუნების კონცეფციები.⁴

კონცეპტუალური საფუძვლები ამაღლებს ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრის პროფესიის სანდოობას.

ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები. იგულისხმება, რომ ფასს სტანდარტების გამოყენებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით განმარტებებთან ერთად, აკმაყოფილებს სამართლიანი წარდგენის კრიტერიუმებს. სამართლიანი წარდგენა ასევე მოითხოვს, რომ საწარმომ:

- შეარჩიოს და გამოიყენოს სააღრიცხვო პოლიტიკა ბასს 8-ის - “სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ - შესაბამისად;
- ინფორმაცია იმდაგვარად წარადგინოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის შესაბამისობა, საიმედოობა, შესადარისობა და აღქმადობა; და
- უზრუნველყოს დამატებითი განმარტებითი ინფორმაციის მიწოდება, როდესაც სტანდარტის კონკრეტული მოთხოვნები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მომხმარებელმა აღიქვას ცალკეული ოპერაციისა თუ მოვლენის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე.

⁴ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

ფინანსური ინფორმაციის ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები, სწორედ სამართლიანი წარდგენა და შესაბამისობაა. ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობა უფრო მაღლდება, თუ ის შესადარისია, შესაძლებელია მისი შემოწმება, დროულია და აღქმადი.

ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, ის არა მარტო შესაბამისი ეკონომიკური მოვლენების შესახებ უნდა გვიქმნიდეს წარმოდგენას, არამედ ასევე სამართლიანად უნდა წარმოაჩენდეს იმ მოვლენებს, რომლის ასახვისთვისაც არის განკუთვნილი. იმისთვის, რომ ინფორმაცია იყოს სამართლიანად წარდგენილი, მას უნდა გააჩნდეს სამი მახასიათებელი: უნდა იყოს სრულყოფილი, ნეიტრალური და არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს. ინფორმაციის საიმედოობა დამოკიდებულია ინფორმაციის ამ სამ მახასიათებელზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად უნდა იქნეს მიღწეული ინფორმაციის აღნიშნული მახასიათებლები. ინფორმაცია საიმედოა, როდესაც მომხმარებელს შეუძლია მასზე დაყრდნობა, რადგან სამართლიანადაა წარმოდგენილი, არ შეიცავს არსებით შეცდომას, არ არის წინასწარ გამიზნულად ან სისტემატიზებულად ტენდენციური, ის სრულია არსებითობის ფარგლებში.

ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე. არსებითობა ამა თუ იმ საწარმოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ასპექტია, რომელიც გამომდინარეობს იმ ელემენტების ხასიათიდან, ან სიდიდიდან (ან ორივე აღნიშნული ფაქტორიდან), რომელსაც ეხება მოცემული ინფორმაცია, კონკრეტული საწარმოს ფინანსური ანგარიშის კონტექსტში. არ არსებობს არსებითობისთვის ერთიანი რაოდენობრივი ზღვარი, ან წინასწარ განსაზღვრული ოდენობა, რა შეიძლება იყოს არსებითი რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში.⁵

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა არსებითი მუხლი წარდგენილ უნდა იქნეს განცალკევებით. არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდეს ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა. ფინანსურ

⁵ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

ანგარიშგებაში აისახება დიდი რაოდენობის სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების დამუშავების რაოდენობრივი შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია შინაარსის ან ფუნქციების მიხედვით. მონაცემთა აგრეგირებისა და კლასიფიცირების საბოლოო სტადიას წარმოადგენს დაჯგუფებული და კლასიფიცირებული მონაცემების წარდგენა, რომლებიც წარმოქმნიან უშუალოდ ფინანსური ანგარიშგების მუხლებს. თუ ცალკე აღებული რომელიმე მუხლი არაა არსებითი, იგი აგრეგირდება სხვა მუხლებთან და აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში. ნაკლებად არსებითი მუხლი, რომლის ცალკე მუხლად ასახვა არ მოითხოვება უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა იმდენად არსებითი შინაარსის მქონე იყოს, რომ განმარტებით შენიშვნებში იმსახურებდეს ცალკე წარმოდგენას.⁶

ინფორმაცია შესაბამისია, თუ: მას აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე და დროულად არის მიწოდებული ამ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად.

ინფორმაციის მიმართ ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლების გამოყენების ყველაზე რაციონალური და ეფექტიანი პროცესი, როგორც წესი, შემდეგნაირად გამოიყურება. პირველი, დადგინდება ისეთი ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება სასარგებლო იყოს ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის. მეორე, განისაზღვრება, ამ ეკონომიკური მოვლენის შესახებ რა სახის ინფორმაცია იქნებოდა ყველაზე შესაბამისი, თუ ის იარსებებდა და შესაძლებელი იქნებოდა მისი სამართლიანი წარდგენა. მესამე, დადგინდება, არსებობს თუ არა ეს ინფორმაცია და შესაძლებელია თუ არა მისი სამართლიანად წარდგენა. თუ ასეა, ამ ეტაპზე დასრულდება ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლებთან ინფორმაციის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი გამეორდება სხვა ტიპის, უფრო შესაბამის ინფორმაციასთან მიმართებით.⁷

ზოგიერთი ეკონომიკური მოვლენა, თავისი არსით, რთულია და შეუძლებელია მისი წარმოდგენა ადვილად გასაგები ფორმით. თუ ფინანსურ ანგარიშებში ამგვარი ეკონომიკური მოვლენების შესახებ ინფორმაცია არ აისახება, ასეთი ფინანსური

⁶ ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - 2015.

⁷ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

ანგარიშების ინფორმაცია შეიძლება უფრო ადვილად გასაგები გახდეს. თუმცა, ასეთი ანგარიშები არ იქნება სრულყოფილი და, მაშასადამე, პოტენციურად შეუძლია მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა. შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იქნეს მიღწეული შესაბამისობა ინფორმაციის ისეთ ხარისხობრივ მახასიათებლებთან, რომლებიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას. თუმცა, ზემოაღნიშნული მახასიათებლები, ვერც ინდივიდუალურად და ვერც ერთობლივად ვერ გახდის ინფორმაციას სასარგებლოს, თუ ეს ინფორმაცია არ არის შესაბამისი, ან არ არის სამართლიანად წარმოდგენილი.⁸

ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები ის ატრიბუტებია, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას გადააქცევს სხვა მხარეთათვის სასარგებლოდ. შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა და აღქმადობა ის ხარისხობრივი მახასიათებლებია, რომლებიც ამაღლებს შესაბამისი და სამართლიანად წარმოდგენილი ინფორმაციის სარგებლიანობას. თუ მიიჩნევა, რომ ეკონომიკური მოვლენის ასახვისთვის ორივე მეთოდი ერთნაირად შესაბამისია და უზრუნველყოფს სამართლიან წარდგენას, აღნიშნული ხარისხობრივი მახასიათებლები იმის დადგენაში დაგვეხმარება, ორი მეთოდიდან რომელი უნდა გამოვიყენოთ.

მომხმარებლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მოიცავს ალტერნატიულ ვარიანტებს შორის არჩევანის გაკეთებას. ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ უფრო სასარგებლოა, თუ შესაძლებელია მისი შედარება სხვა საწარმოთა შესახებ არსებულ ანალოგიურ ინფორმაციასთან და იმავე საწარმოს სხვა პერიოდის, ან თარიღის ანალოგიურ ინფორმაციასთან. შესადარისობა ინფორმაციის ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, რომელიც მომხმარებლებს განსახილველ ელემენტებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენისა და გააზრების საშუალებას აძლევს. შედარებისთვის საჭიროა სულ მცირე ორი მუხლი. მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უკეთ გასაგებად, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის შესაბამისად.

⁸ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

შემოწმებადობა იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ინფორმირებული და დამოუკიდებელი დამკვირვებელი შეძლებს ერთი და იმავე აზრის გამოტანას, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ სრულ თანხმობას მიაღწიონ იმასთან დაკავშირებით, რომ გარკვეული მოვლენა სამართლიანად არის წარდგენილი. ინფორმაციის შემოწმების შესაძლებლობის თვისება მომხმარებელს ეხმარება დარწმუნდეს იმაში, რომ ინფორმაცია სამართლიანად ასახავს იმ ეკონომიკურ მოვლენას, რომლის ასახვისთვისაც არის განკუთვნილი. შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს შესაძლო მნიშვნელობების გარკვეული დიაპაზონი (მწკრივი) და მასთან დაკავშირებული ალბათობებიც. შემოწმებადობა შეიძლება იყოს პირდაპირი, ან არაპირდაპირი. პირდაპირი შემოწმებადობა იმას ნიშნავს, რომ რიცხობრივი მონაცემის, ან სხვა ინფორმაციის შემოწმება შესაძლებელია უშუალო დაკვირვების გზით, მაგალითად თანხის დამტკიცება ფულადი სახსრების დათვლით. არაპირდაპირი შემოწმებადობა ნიშნავს მოდელის ამოსავალი მონაცემების, ფორმულებისა და მოდელის სხვა შემადგენელი ელემენტების შემოწმებას და მიღებული შედეგების იმავე მეთოდით ხელახლა დამოუკიდებლად დათვლას. ამის მაგალითია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულების შემოწმება ამოსავალი მონაცემების (რაოდენობებისა და ღირებულებების) შემოწმებით და მარაგის საბოლოო ნაშთის ხელახლა დათვლა ღირებულებების მოძრაობის შესახებ იმავე დაშვების გამოყენებით (მაგალითად, „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ (ფიფო) - მეთოდით).⁹

ინფორმაციის დროულობა იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს ინფორმაცია ხელთ ჰქონდეთ იმ დროს, როდესაც მას შეუძლია გავლენის მოხდენა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. თუმცა, ზოგიერთი ინფორმაცია შეიძლება დროული დარჩეს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში იმის გამო, რომ ზოგიერთ მომხმარებელს შეიძლება აინტერესებდეს ტენდენციების დადგენა და შეფასება.

კლასიფიცირება, სისტემატიზაცია და ნათლად და ლაკონურად წარმოდგენა ინფორმაციას აღქმადს, გასაგებს ხდის.¹⁰ ინფორმაცია ადვილად აღქმადი რომ იყოს, მომხმარებლებს უნდა შეეძლოს მისი მნიშვნელობის შეცნობა. დაუშვებელია ფინანსურ

⁹ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

¹⁰ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

ანგარიშგებაში არ აისახოს შესაბამისი და საიმედო ინფორმაცია მარტო იმის გამო, რომ იგი ძნელად აღსაქმელი იქნება ზოგიერთი მომხმარებლისათვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.¹¹ საწარმომ უნდა აირჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად გამოიყენოს მსგავსი ოპერაციებისათვის, სხვა მოვლენის ან პირობებისათვის, თუ რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია სპეციალურად არ მოითხოვს ან ნებას არ რთავს, მოხდეს ელემენტების კატეგორიზაცია, რომლებისთვისაც სხვადასხვა პოლიტიკა შეიძლება მისაღები იყოს. თუ სტანდარტი ან ინტერპრეტაცია სპეციალურად მოითხოვს ან ნებას რთავს, მოხდეს ელემენტების ამგვარი კატეგორიზაცია, უნდა შეირჩეს შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად იყოს გამოყენებული თითოეული კატეგორიისათვის. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვაში საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული შეფასების საფუძველი (ან საფუძვლები); და
- თითოეული გამოყენებული სპეციფიკური სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად გასაგებად.

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ცვლილება: ა) მოითხოვება სტანდარტის ან ინტერპრეტაციის მიერ; ან ბ) უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.¹²

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, მომხმარებლისათვის უფრო გასაგები და სასარგებლო რომ იყოს, მისი ელემენტები ბუღალტრულ ბალანსში დაჯგუფებულადაა წარმოდგენილი. ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლების ასახვას, რომლებიც აკმაყოფილებენ მოცემული ელემენტის განმარტებას, აღიარება ეწოდება. აღიარება გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას

¹¹ ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - 2015.

¹² ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - 2015.

ბუღალტრულ ბალანსში ან მოგება და ზარალის ანგარიშგებაში. მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტის ცნებას, აღიარდება და მასში აისახება, თუ შესაძლებელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; მუხლს გააჩნია საიმედოდ შეფასებული რიცხოვრივი მნიშვნელობა.¹³

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები, საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციით დაინტერესებული მხარეები, შეიძლება იყვნენ: ინვესტორები (არსებული და პოტენციური), დაქირავებული მუშაკები, კრედიტის გამცემები (არსებული და პოტენციური), მიმწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები, მომხმარებლები, მთავრობები და მათი უწყებები, უბრალოდ საზოგადოება.

ინფორმაციის მომხმარებლები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: შიდა მომხმარებლები და გარე მომხმარებლები. შიდა მომხმარებლები - საწარმოს მმართველი პერსონალია, რომელიც სააღრიცხვო ინფორმაციის ბაზაზე ლეზულობს სხვადასხვა საწარმოო და ფინანსურ გადაწყვეტილებებს. ამ ტიპის გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს: მომდევნო წლისათვის ფინანსური გეგმის შედგენა, რეალიზაციის მოცულობის განსაზღვრა, მისი შეცვლა, საწარმოს რესურსების ინვესტირების მიმართულების განსაზღვრა, კრედიტების მოზიდვის მიზანშეწონილობის დადგენა და სხვა. ცხადია, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად დროული, სრული და ზუსტი ინფორმაცია აუცილებელია. შიდა მომხმარებლები უშუალოდ დაინტერესებულნი არიან საწარმოს საქმიანობით. მათ მიეკუთვნებიან: საწარმოს აქტივების მფლობელები (არსებული და პოტენციური) - აქციონერები, დამფუძნებლები. ინვესტორები ასევე დაინტერესებულნი არიან საწარმოს შესახებ ინფორმაციით. მათ სჭირდებათ ინფორმაცია იმისათვის, რომ განსაზღვრონ: გაყიდონ, დაიტოვონ თუ იყიდონ ფასიანი ქაღალდები. აქციონერები, აგრეთვე, დაინტერესებულნი არიან შეაფასონ საწარმოს უნარი გადაიხადოს დივიდენდები.

კრედიტორებს, საკრედიტო ორგანიზაციებს, აინტერესებთ გაცემული სესხებისა და შესაბამისი სარგებლის დროული დაბრუნება. ინფორმაციას იყენებენ კრედიტების

¹³ ხარაბაძე ე. - ბუღალტრული აღრიცხვა, ქ. თბილისი, 2009.

გამოყოფის მიზანშეწონილობის, დაკრედიტების პირობების, კრედიტების დაბრუნების გარანტიების, საწარმოს, როგორც კლიენტის, ნდობის შეფასების განსაზღვრისათვის.

მომწოდებლები, რომლებიც ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავენ მოცემულ დამკვეთებთან საქმიანი კავშირების საიმედოობას. მომწოდებლებს და სხვა სავაჭრო კრედიტორებს აინტერესებთ ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მათ განსაზღვრონ დროულად მიიღებენ თუ არა კუთვნილ თანხებს. სავაჭრო კრედიტორებს საწარმო აინტერესებთ შედარებით ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, ვიდრე კრედიტის გამცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი დამოკიდებული არიან საწარმოზე, როგორც მთავარ მომხმარებელზე.

მყიდველები, მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობით, რათა მიიღონ ის პროდუქტი რომელსაც ღებულობენ კონკრეტულ საწარმოსთან ურთიერთობისას.

დაქირავებული მომუშავეები და მათი წარმომადგენელთა ჯგუფები დაინტერესებულნი არიან თავიანთი დამქირავებლის ფინანსური სტაბილურობით, შრომის ანაზღაურებისა და პენსიის გადახდით, დასაქმების შესაძლებლობით, ხელფასის დონითა და მოცემულ საწარმოში მუშაობის პერსპექტივით.

მთავრობები და სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას იყენებენ საწარმოს საქმიანობის სტაბილურობის დადგენის, მისი შემოსავლების განსაზღვრის და რესურსების განაწილების, საწარმოს საქმიანობისა და საგადასახადო პოლიტიკის რეგულირების მიზნით. სახელმწიფო საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები ამოწმებენ გადასახადების გაანგარიშების სისწორეს, აანალიზებენ მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის ეფექტურობას.

საწარმოს შესახებ ინფორმაციით დაინტერესებულნი არიან გარე მომხმარებლებიც. აღნიშნული გარე მომხმარებლები შეიძლება იყვნენ: აუდიტორული ფირმები, რომლებიც ამოწმებენ სააღრიცხვო მონაცემების შესაბამისობას არსებულ სტანდარტებთან; ფასიანი ქაღალდების ბირჟები, რომლებიც აფასებენ ინფორმაციას შესაბამისი საწარმოების რეგისტრაციისას, ღებულობენ გადაწყვეტილებებს საწარმოს ცალკეულ საკითხებზე; აფასებენ აგრეთვე, აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების მომზადების გამოყენებულ მეთოდებს; საფინანსო და სტატისტიკური ორგანოები,

რომლებიც განაზოგადებენ საწარმოების საანგარიშგებო მონაცემებს; პროფკავშირები, დაინტერესებულნი იმ ინფორმაციით, რომლითაც ხდება თანამშრომელთა ხელფასებისადმი თავიანთი მოთხოვნების დასაბუთება და შრომითი ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა, აგრეთვე, იმ დარგის განვითარების ტენდენციების შეფასება, რომელსაც მოცემული საწარმო მიეკუთვნება; საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ინფორმაციას იყენებენ ცალკეულ საწარმოთა საქმიანობის ანალიზისა და განმაზოგადებელი ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის. საზოგადოება, რომელსაც აინტერესებს ინფორმაცია საწარმოს როლისა და ადგილის შესახებ ეროვნულ ეკონომიკაში, რათა გადაწყვიტოს მოსახლეობის დასაქმების, ეკოლოგიური და სოციალური საკითხები. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია საზოგადოებას ეხმარება საწარმოს განვითარების მიმართულებებისა და კანონზომიერებათა დადგენაში.¹⁴

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს უნდა შეეძლოს საწარმოს სხვადასხვა წლების ფინანსური ანგარიშგების შედარება, რათა განსაზღვროს მისი ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ტენდენციები; სხვადასხვა საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების შედარება, რათა შეაფასოს მათი შესადარისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფინანსური მდგომარეობა.

ინფორმაცია, ანგარიშვალდებული საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ხასიათისა და სიდიდის შესახებ, მომხმარებლებს დაეხმარება ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. აღნიშნული ინფორმაცია მომხმარებლებს ეხმარება ანგარიშვალდებული საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის, დაფინანსების დამატებით წყაროებზე მისი მოთხოვნილებების შეფასებაში და ასევე იმის შეფასებაშიც, სავარაუდოდ, რამდენად წარმატებით შეძლებს ის აუცილებელი ფინანსების მოპოვებას. ინფორმაცია არსებული მოთხოვნების პრიორიტეტულობისა და გადახდის პირობების შესახებ მომხმარებლებს დაეხმარება იმის პროგნოზირებაში, როგორ განაწილდება მომავალი ფულადი ნაკადები მათ შორის, ვისაც გააჩნია მოთხოვნები ანგარიშვალდებული საწარმოს მიმართ.

¹⁴ ხარაბაძე ე. - ბულალტრული აღრიცხვა, ქ. თბილისი, 2009.

შესაბამის ფინანსურ ინფორმაციას შეუძლია გავლენის მოხდენა მომხმარებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ინფორმაციას იმ შემთხვევაშიც შეუძლია ზემოქმედება მომხმარებლების გადაწყვეტილებაზე, თუ ზოგიერთი მათგანი გადაწყვეტს, არ გამოიყენოს ის, ან ეს ინფორმაცია უკვე ცნობილია მისთვის სხვა წყაროებიდან.

1.2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების აღიარება და შეფასება

ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია ფართო კატეგორიებად, მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ ფართო კატეგორიებს უწოდებენ **ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს**. ბუღალტრულ ბალანსში ეს ელემენტები წარმოდგენილია აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის სახით; ამ მაჩვენებლების მიხედვით ხდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება. მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტებია შემოსავლები და ხარჯები, რის საფუძველზეც ფასდება საწარმოს საქმიანობის შედეგები. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ ანგარიშგებაში, როგორც წესი, ასახულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგების ელემენტები და ბალანსის ელემენტების ცვლილებები.¹⁵

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აუცილებელია აისახოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შესაბამისი თანხები:

- ძირითადი საშუალებები;
- საინვესტიციო ქონება;
- არამატერიალური აქტივები;
- სხვა ფინანსური აქტივები;
- ინვესტიციები, რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით;
- მარაგი;
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები;
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივებისა და გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გამსვლელ ჯგუფში ჩართული აქტივები;
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- ანარიცხები;
- სხვა ფინანსური ვალდებულებები;
- მიმდინარე საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები;

¹⁵ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

- გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები;
- არამაკონტროლებელი წილი, რომელიც წარმოდგენილია საკუთარ კაპიტალში;
- გამოშვებული სააქციო კაპიტალი და სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილებელი რეზერვები.

საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი მუხლების გარდა, უნდა წარადგინოს დამატებითი მუხლები ქვესათაურები და შუალედური ჯამური თანხები, თუ ამგვარი წარდგენა მიზანშეწონილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გასაგებად.

იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა დამატებითი მუხლების ცალკე წარდგენა, საწარმომ უნდა შეაფასოს: აქტივების შინაარსი და ლიკვიდობა; აქტივების ფუნქციები საწარმოში; და ვალდებულებების შინაარსი, მათი სიდიდე და დაფარვის ვადები.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე იყოს წარდგენილი აქტივები და ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები. თუ ურთიერთგადაფარვა არ ასახავს ოპერაციის ან მოვლენის შინაარსს, მაშინ მუხლების ურთიერთგადაფარვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში (თუ წარდგენილია) ინფორმაციის მომხმარებელს მცირე შესაძლებლობას აძლევს იმისათვის, რომ გაერკვეს განხორციელებულ ოპერაციებში, სხვა მოვლენებსა და პირობებში და შეაფასოს საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადები. აქტივების შეფასება შეფასებითი ხასიათის შესწორებების გარეშე (მაგალითად, მარაგისთვის - დამკველებით გამოწვეული ფასშესწორება, ხოლო მოთხოვნებისთვის - საექვო ვალების ანარიცხები) არ არის ურთიერთგადაფარვა.¹⁶

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება შემდეგი ელემენტები: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. ისინი შემდეგნაირად განიმარტება: ა) აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას; ბ) ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში

¹⁶ ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - 2015.

მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი; გ) საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ყველა საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად უნდა ასახოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ლიკვიდობის მიხედვით წარდგენილი ინფორმაცია უფრო საიმედო და შესაბამისია. როდესაც საწარმო ამგვარ გამონაკლისს მიმართავს, მაშინ ყველა აქტივისა და ვალდებულების წარდგენა ლიკვიდობის მიხედვით უნდა მოხდეს.

აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგად და საიდანაც მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას. აკონტროლებს საწარმო - კონტროლი აღნიშნავს საწარმოს უნარს, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი და შეზღუდოს მისი ხელმისაწვდომობა სხვებისათვის. წარსული მოვლენები - მოვლენა უკვე წარსული უნდა იყოს, სანამ აქტივი წარმოიშობა. მომავალი ეკონომიკური სარგებელი - შესაძლოა იყოს თავად ფული, დებიტორული დავალიანება ან რომელიმე ისეთი ელემენტი, რომლის გაყიდვაც შეიძლება.

აქტივი მხოლოდ მაშინ აღიარდება, თუ: ის წარმოშობს უფლებებს ან რაიმე სხვა სახით ხელმისაწვდომს ხდის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსული პერიოდის სამეურნეო ოპერაციების ან მოვლენების შედეგად; შესაძლებელია მისი თანხობრივი შეფასება საკმარისი საიმედოობით; არსებობს საკმარისი მტკიცებულებები მის არსებობაზე.

როდესაც საწარმო საქონლისა და მომსახურების მიწოდებას ზუსტად განსაზღვრული საოპერაციო ციკლის ფარგლებში ახორციელებს, გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივებისა და ვალდებულებების ცალ-ცალკე კლასიფიცირება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვა სასარგებლოა იმით, რომ წმინდა აქტივები, რომლებიც მუდმივად იმყოფება მიმოქცევის პროცესში საბრუნავი კაპიტალის სახით, ცალკე გამოიყოფა იმ წმინდა აქტივებისაგან, რომლებსაც საწარმო

გრძელვადიანი საქმიანობისათვის იყენებს. ამასთან, ნათლად გამოიკვეთება ის აქტივები, რომელთა გამოყენებაც ივარაუდება მიმდინარე საოპერაციო ციკლში და ის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს იმავე პერიოდში.

აქტივები გრძელვადიან და მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივებად ჯგუფდება. გრძელვადიანი აქტივები მატერიალური, არამატერიალური და ფინანსური აქტივების სახითაა წარმოდგენილი.

გრძელვადიანი მატერიალური აქტივებია ძირითადი საშუალებები, რომელიც ბალანსში ან ზოგადი სახელწოდებით, ან გამსხვილებული ჯგუფების, მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. მიხედვით აისახება.

ძირითადი საშუალებების მსგავსად, ზოგადი სახელწოდებით, ან გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით აისახება ბალანსში არამატერიალური აქტივები. ასეთი ჯგუფები შეიძლება იყოს: ლიცენზიები, კონცესიები, პატენტები, გუდვილი და ა.შ.

მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები ბალანსში აისახება სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების, მოთხოვნების, ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების სახით.

საწარმომ აქტივი უნდა განიხილოს, როგორც მოკლევადიანი აქტივი, თუ იგი:

- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ექვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

საწარმომ ყველა სხვა აქტივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიან აქტივებს.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის უნარი, ხელი შეუწყოს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულადი სახსრებისა და მათი

ეკვივალენტების შემოსვლას საწარმოში. ეს შეიძლება იყოს საწარმოო ხასიათის უნარი, რადგან ის არის საოპერაციო საქმიანობის ნაწილი. სხვა შემთხვევაში, შეიძლება იყოს ფულად სახსრებად და მათ ეკვივალენტებად გარდაქმნის უნარი, ან იმის უნარი, შეამციროს საწარმოდან ფულადი სახსრების გასვლა, როგორც, მაგალითად ალტერნატიული საწარმოო პროცესის შემოღება ამცირებს საწარმოო დანახარჯებს.

საწარმოს აქტივები წარმოიქმნება წარსულში მომხდარი სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად. საწარმო, როგორც წესი, შეიძენს ან თვითონ აწარმოებს აქტივებს, თუმცა შესაძლებელია, რომ აქტივები წარმოიშვას სხვაგვარი ოპერაციების შედეგადაც.

საწარმო, როგორც წესი, მოიხმარს აქტივებს იმ საქონლის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად, რომლებიც დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. თუ საქონელი ან მომსახურება აკმაყოფილებს მომხმარებლების მოთხოვნილებებს, ისინი მზად იქნებიან, გადაიხადონ ამ საქონლისა და მომსახურების საფასური და ამით ხელი შეუწყონ საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლას. ფულადი სახსრები კი, როგორც უნივერსალური საწარმოო რესურსი, თვითონ საწარმოს ემსახურება.

ზოგიერთი აქტივი, მაგალითად მოთხოვნები და ქონება დაკავშირებულია სამართლებრივ და, მათ შორის, საკუთრების უფლებებთან. საწარმოში აქტივების არსებობის განსაზღვრისთვის საკუთრების უფლება არ არის მთავარი. მაგალითად, იჯარით აღებული ქონება მიიჩნევა აქტივად, თუ საწარმო აკონტროლებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც ივარაუდება ამ ქონების გამოყენებით. თუმცა, საწარმოს უნარი, გააკონტროლოს ეკონომიკური სარგებელი, ჩვეულებრივ, მის მიერ სამართლებრივი უფლებების განხორციელების შედეგია. ესა თუ ის საგანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს აქტივად მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს სამართლებრივი კონტროლი. მაგალითად, ნოუ-ჰაუ, რომელიც მიიღება საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგად, შეიძლება აკმაყოფილებდეს აქტივის განმარტებას, თუ ნოუ-ჰაუს საიდუმლოს შენახვის გზით საწარმო აკონტროლებს მისგან მომავალში მისაღებ სარგებელს.

აქტივი აღიარდება ბალანსში, თუ შესაძლებელია ამ აქტივის მონაწილეობით მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და, ამავე დროს, მისი თანხობრივი შეფასება საიმედოდ. აქტივი არ აღიარდება ბალანსში, თუ მოსალოდნელია, რომ გაწეული დანახარჯების შედეგად საწარმო ვერ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. სამაგიეროდ, იგი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის სახით. ასეთი მიდგომა არ ნიშნავს იმას, რომ ხელმძღვანელობის მიერ სახსრების ხარჯვას სხვა მიზანი ჰქონდა და არა ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან იმას, რომ ხელმძღვანელობამ დაუშვა შეცდომა. იგულისხმება მხოლოდ ის, რომ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ეკონომიკური სარგებლის შემოსავლის ალბათობის დონე საკმარისი არ არის აქტივის აღიარებისთვის.

ვალდებულება საწარმოს მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო ოპერაციების ან მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს ეკონომიკური სარგებლის სხვაზე გადაცემას. მოვალეობები - შეიძლება იყოს იურიდიული და კონსტრუქციული. კონსტრუქციული ისეთი მოვალეობაა, რომელიც არ მოითხოვება კანონით, ან იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებით, არამედ წარმოიშობა მოსალოდნელი დამკვიდრებული პრაქტიკით; ეკონომიკური სარგებლის გადაცემა - შეიძლება იყოს ფული ან სხვა სახის ქონების გადაცემა, მომსახურების გაწევა, ან ისეთი საქმიანობის შეჩერება, რომელიც მოგებიანი იქნებოდა, თუ არ შეჩერდებოდა. წარსული ოპერაციები ან მოვლენები - მოვლენა უკვე წარსული უნდა იყოს, სანამ ვალდებულება წარმოიშობა.

ვალდებულება მაშინ აღიარდება, თუ: არსებობს ეკონომიკური სარგებლის გადაცემის მოვალეობა, რომელიც განპირობებულია წარსული სამეურნეო ოპერაციებით ან მოვლენებით; შესაძლებელია მისი თანხობრივი შეფასება საკმარისი საიმედოობით; არსებობს საკმარისი მტკიცებულებები მის არსებობაზე.

ვალდებულების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ საწარმოს გააჩნია მიმდინარე ვალდებულება. ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება ან პასუხისმგებლობა, რომლის შესრულება გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება. ვალდებულებები შეიძლება სამართლებრივად შევიდეს ძალაში სავალდებულო წესით

შესასრულებელი ხელშეკრულების ან საკანონმდებლო მოთხოვნის ძალით. ნორმალურია, მაგალითად, ვალდებულების წარმოშობა საწარმოსთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთვის. ვალდებულება წარმოიშობა ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში, აგრეთვე, თუ საწარმოს სურს კარგი საქმიანი ურთიერთობები შეინარჩუნოს დამკვეთთან ან სხვა მომხმარებელთან. მაგალითად, თუ საწარმო გადაწყვეტს, გამოასწოროს საგარანტიო ვადის შემდეგ აღმოჩენილი წუნიც კი, მაშინ თანხები, რომელთა დახარჯვა მოსალოდნელია უკვე გაყიდულ საქონელთან დაკავშირებით, არის ვალდებულებები.

აუცილებელია გაიმიჯნოს მიმდინარე ვალდებულება და მომავალი ვალდებულება. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მომავალში აქტივების შემენის შესახებ, თავისთავად არ წარმოშობს ვალდებულებას. როგორც წესი, ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივი მიღებულია ან, თუ საწარმო დადებს შეუქცევად ხელშეკრულებას აქტივების შემენის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, შეთანხმების შეუქცევადობა ნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულების უუნარობის ეკონომიკურმა შედეგებმა შეიძლება საწარმოს არ მისცეს რესურსების სხვა მიმართულებით გამოყენების უფლება.

საწარმომ ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად უნდა მიიჩნიოს, თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ვალდებულების სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც კონტრაქტს არჩევანის უფლებას აძლევს, ანგარიშსწორება აწარმოოს წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით, გავლენას არ ახდენს მის კლასიფიკაციაზე.

ყველა სხვა ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.¹⁷

¹⁷ ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - 2015.

გრძელვადიან ვალდებულებებს გრძელვადიანი სესხები და სხვა კრედიტები მიეკუთვნება.

მოკლევადიანი ვალდებულების დაფარვა, როგორც წესი, გულისხმობს საწარმოდან ეკონომიკური რესურსების გასვლას, მევალე მხარის ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. ვალდებულების დაფარვა ხდება სხვადასხვა გზით, მაგალითად: ფულის გადახდით; სხვა აქტივების გადაცემით; მომსახურების გაწევით; ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით; ან ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით. ვალდებულების დაფარვა შესაძლებელია სხვა საშუალებითაც, მაგალითად კრედიტორის მიერ მისაღებ თანხებზე უარის თქმით ან კრედიტორობის უფლების კონფისკაციით.

მოკლევადიანი ვალდებულებებია: მოკლევადიანი სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები, საგადასახადო ვალდებულებები და ა.შ. ასე, მაგალითად საქონლის შეძენა ან მომსახურების მიღება წარმოშობს შესაბამის სავაჭრო ვალდებულებას (თუკი გადახდა არ ხდება წინასწარ ან მიწოდებისთანავე), ხოლო ბანკიდან სესხის მიღება წარმოშობს ამ სესხის დაფარვის ვალდებულებას. საწარმოს შეუძლია ვალდებულების სახით ასახოს მუდმივი დამკვეთებისთვის საქონლის მიწოდებაზე გათვალისწინებული მომავალი ფასდათმობის თანხები. ამ შემთხვევაში, ვალდებულების წარმოშობის მიზეზია წარსულში გაყიდული საქონელი.

ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება, მაგალითად, სავაჭრო ვალდებულებები, ზოგიერთი ტიპის დარიცხვა დაქირავებულ პირთათვის და სხვა საწარმოო დანახარჯები, საბრუნავი კაპიტალის ნაწილია, რომელიც გამოიყენება საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივ ციკლში. ასეთი მუხლები მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვეზე მეტი პერიოდის განმავლობაში. საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის მიზნებისთვის ერთი და იგივე ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლი უნდა გამოიყენოს.

ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება არ წარმოადგენს მიმდინარე საოპერაციო ციკლის ნაწილს და გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ან, ძირითადად, სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენება. სავაჭროდ

გამიზნულად კლასიფიცირებული ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებები, საბანკო ოვერდრაფტები, გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი, გადასახდელი დივიდენდები, მოგებიდან გადასახადები და სხვა არასავაჭრო ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც გრძელვადიან დაფინანსებას უზრუნველყოფს (ე.ი. არ არის საბრუნავი კაპიტალის ნაწილი, რომელიც საწარმოს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ფარგლებში გამოიყენება) და დასაფარი არ არის საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებებად.¹⁸

თუ საწარმო ვარაუდობს და მის სურვილზეა დამოკიდებული ვალის რეფინანსირება ან გადავადება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ ცოტა 12 თვით, მან ვალდებულების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს, როგორც გრძელვადიანი მაშინაც კი, თუ ამის გარეშე ისინი დასაფარი იქნებოდა მოკლევადიან პერიოდში. თუმცა, როდესაც ვალის რეფინანსირება ან გადავადება დამოკიდებული არ არის საწარმოს სურვილზე (მაგალითად, როცა არ არსებობს რეფინანსირების ხელშეკრულება), რეფინანსირების პოტენციური შესაძლებლობა მხედველობაში არ მიიღება და ვალდებულება განიხილება, როგორც მოკლევადიანი.

თუ საწარმო არღვევს გრძელვადიანი სესხის ხელშეკრულების პირობას საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებისას ან მანამდე, რის შემდეგაც ვალდებულება მოთხოვნისთანავე გადასახდელი ხდება, ვალდებულების კლასიფიცირება უნდა მოხდეს როგორც მოკლევადიანი იმ შემთხვევაშიც კი, როცა კრედიტორი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერის თარიღამდე თანხმდება, რომ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო არ მოითხოვს ვალდებულების დაფარვას. ამგვარი ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმის გამო, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს არ გააჩნია უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვა გადაავადოს ამ თარიღიდან სულ ცოტა 12 თვით მაინც.

თუმცა, ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, თუ კრედიტორი საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებისას თანხმდება ვალის

¹⁸ ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - 2015.

გადავადებაზე, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ ცოტა 12 თვით, რომლის განმავლობაშიც საწარმოს საშუალება ეძლევა გამოასწოროს ხელშეკრულების პირობის დარღვევა და, ამავდროულად, კრედიტორს არ შეეძლება ვალის ანაზღაურების დაუყოვნებლივ მოთხოვნა.

საწარმოს ბალანსში ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში აისახება, თუ მისი დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას მომავალში და შესაძლებელია მისი ოდენობის საიმედოდ შეფასება. პრაქტიკაში ის სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც არ შესრულებულა (მაგალითად, თუ მარაგი შეკვეთილია, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული), არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ვალდებულებები. მაგრამ ზოგჯერ ასეთმა ვალდებულებამ შეიძლება დააკმაყოფილოს ვალდებულების განმარტება და აღიარების კრიტერიუმები. ასეთ გამონაკლის შემთხვევაში, შესაძლებელია მათი აღიარება. ცხადია, ვალდებულების აღიარება გამოიწვევს მასთან დაკავშირებული აქტივების ან ხარჯების აღიარებასაც.

საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული საწარმოს მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება.

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება საწარმოს ყველა აქტივებთან ყველა მისი ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

საკუთარი კაპიტალის ასახვა საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზეა დამოკიდებული. საკუთარი კაპიტალი, როგორც ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი აქტივების ნაწილი, ბალანსში იგი შეიძლება ქვეჯგუფებად დაიყოს. მაგალითად, სააქციო კაპიტალი, რეინვესტირებული მოგება, შექმნილი რეზერვები და რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფს კაპიტალის შენარჩუნებას, შეიძლება აისახოს ცალ-ცალკე. ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად, როდესაც კლასიფიკაცია ასახავს საწარმოს მიერ საკუთარი კაპიტალის განაწილების ან სხვაგვარი გამოყენების სამართლებრივ, ან სხვა სახის შეზღუდვებს. ამგვარი

სტრუქტურა შეიძლება ასევე ასახავდეს მესაკუთრეთა განსხვავებულ უფლებებს, დივიდენდების მიღებისა და კაპიტალის ამოღებასთან მიმართებაში.

რეზერვების შექმნა ზოგჯერ მოითხოვება წესდებით ან კანონმდებლობით, მესაკუთრეებისა და კრედიტორების ზარალისგან დამატებითი დაცვის მიზნით. შეიძლება შეიქმნას სხვა რეზერვიც, თუ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა ათავისუფლებს საწარმოს გადასახადისაგან ან ამცირებს საგადასახადო ვალდებულებას, როდესაც ასეთი რეზერვი იქმნება. ბალანსში ამგვარი სამართლებრივი, საკანონმდებლო და საგადასახადო რეზერვების არსებობას შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს მომხმარებლის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისთვის. რეზერვების შექმნა უფრო მიღებული შემოსავლების შენარჩუნებაა, ვიდრე დანახარჯების გაწევა.

აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების, ან გადაანგარიშების პროცესი იწვევს საკუთარი კაპიტალის შესაბამის ცვლილებას. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის ცვლილება (ზრდა ან შემცირება) თავსებადია შემოსავლებისა და ხარჯების ცნებასთან, იგი არ აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში, კაპიტალის შენარჩუნების ზოგიერთი კონცეფციის თანახმად. ამიტომ ეს თანხები საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში აღირიცხება, როგორც კაპიტალის შენარჩუნების კორექტირება ან, როგორც გადაფასების რეზერვი.

შეფასება არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ფინანსური ანგარიშგების მოცემული ელემენტები აღიარდება და აისახება საწარმოს ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასების გარკვეული მეთოდის/საფუძვლის შერჩევას. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს იყენებენ შეფასების სხვადასხვა მეთოდს, სხვადასხვა ხარისხით და მრავალი კომბინაციით. ეს მეთოდებია: ა) პირვანდელი ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადი) კი იმ თანხით, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი

საქმიანობის პირობებში; ბ) მიმდინარე ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების იმ თანხით, რომელიც გადასახდელი იქნებოდა საწარმოს მიერ იმავე ან ანალოგიური აქტივის შესაძენად მიმდინარე პერიოდში. ვალდებულებები აისახება არადისკონტირებული ფულადი თანხით, რომელიც საჭიროა მის დასაფარად მიმდინარე პერიოდში; გ) რეალიზებადი (საანგარიშსწორებო) ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების იმ თანხით, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა ამ აქტივის გაყიდვის შედეგად მიმდინარე პერიოდში. ვალდებულებები აღრიცხება არადისკონტირებული ფულადი თანხით, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს მის დასაფარად, საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში; დ) დღევანდელი ღირებულება. აქტივების აღრიცხვა ხდება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების დღევანდელი ღირებულებით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია მოცემული აქტივიდან საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. საწარმოს ვალდებულებები აისახება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების გასავლების დღევანდელი ღირებულებით, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია, რომ აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად, საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.¹⁹

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ყველაზე ხშირად იყენებენ პირვანდელი ღირებულების მეთოდს. როგორც წესი, უფრო მიღებულია მისი გამოყენება სხვა მეთოდებთან ერთობლივად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საწარმოთა უმეტესობა იყენებს კაპიტალის ფინანსურ კონცეფციას. **კაპიტალის ფინანსური კონცეფციის თანახმად**, კაპიტალი როგორც ინვესტირებული ფული ან ინვესტირებული მსყიდველობითი უნარი, გაიგივებულია საწარმოს ნეტო აქტივებთან ან საკუთარ კაპიტალთან. **კაპიტალის ფიზიკური კონცეფციის მიხედვით** კი (რომელიც კაპიტალში საწარმოს საოპერაციო სიმძლავრეს გულისხმობს), კაპიტალად მიიჩნევა საწარმოო სიმძლავრე, რომელიც განისაზღვრება, მაგალითად პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) დღიური გამომუშავებით.

¹⁹ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

კაპიტალის კონცეფციებს შეესაბამება კაპიტალის შენარჩუნების შემდეგი კონცეფციები: **კაპიტალის ფინანსური და ფიზიკური შენარჩუნების კონცეფცია**. **კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების** კონცეფციის თანახმად, საწარმოს მიერ მოგების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წმინდა აქტივების ფულადი ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღემატება წმინდა აქტივების ფულად ღირებულებას საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში კაპიტალის ყოველნაირი გადანაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული, ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შემდეგ. ფინანსური კაპიტალის შენარჩუნება იზომება ნომინალურ ფულად ერთეულებში, ან მუდმივი მსყიდველობითუნარიანობით; **კაპიტალის ფიზიკური შენარჩუნების კონცეფციის** თანახმად, საწარმოს მიერ მოგების აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმოს ფიზიკური მწარმოებლურობა (ან მიმდინარე სიმძლავრე) აღემატება საწარმოს მწარმოებლურობას (ან რესურსებს ან სახსრებს, რომელიც საჭიროა მიმდინარე სიმძლავრის მისაღწევად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელიც რჩება მოცემულ პერიოდში კაპიტალის ყოველნაირი გადანაწილებისა და მესაკუთრეთა მიერ განხორციელებული ყოველგვარი დამატებითი შენატანების გამოქვითვის შედეგად.

კაპიტალის შენარჩუნების თითოეულ კონცეფციაში მთავარია ის, თუ როგორ განსაზღვრავს საწარმო კაპიტალს, რომელიც უნდა იყოს შენარჩუნებული. ეს კონცეფციები თვითონ უზრუნველყოფს კავშირს კაპიტალის კონცეფციებსა და მოგების კონცეფციებს შორის, რადგან იძლევა მოგების განსაზღვრის საფუძველს. სწორედ მისი მიხედვით ხდება იმ განსხვავებების დადგენა, რომელიც არსებობს საწარმოს კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალსა და კაპიტალის ბრუნვას შორის. მხოლოდ და მხოლოდ ის თანხა შეიძლება ჩაითვალოს მოგებად და, შესაბამისად, კაპიტალიდან მიღებულ შემოსავლად, რომელიც წარმოიშობა შემოსული აქტივების გადამეტებით კაპიტალის შესანარჩუნებლად საჭირო თანხაზე. კაპიტალის ფიზიკური შენარჩუნების კონცეფციის თანახმად კი, მოგება არის თანხა, რომელიც რჩება შემოსავლებიდან

დანახარჯების გამოქვითვის შემდეგ. თუ დანახარჯები გადააჭარბებს შემოსავლებს, სხვაობა ზარალი იქნება.²⁰

გრძელვადიან აქტივებში მოიაზრება ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 16 - ძირითადი საშუალებებით. ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: ა) იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება: საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების ღირებულება უნდა აღიარდეს აქტივად, თუ: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, უნდა შეფასდეს მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს: ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შემენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება არ მოიცავს: ა) ახალი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯებს; ბ) ახალი პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯებს (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯების ჩათვლით); გ) ახალ ადგილზე ან მომხმარებელთა ახალ

²⁰ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები - 2015.

კლასთან ბიზნესის წარმოების დანახარჯებს (პერსონალის სწავლების ჩათვლით); დ) ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ზედნაღებ დანახარჯებს.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ორი მეთოდი განიხილება: თვითღირებულების მოდელი და გადაფასების მოდელი.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული უნდა აღრიცხებოდეს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, უნდა აისახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება რეგულარულად უნდა ტარდებოდეს იმისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია მსგავსი ბუნებისა და ეკონომიკური დანიშნულების აქტივები. ამ ჯგუფების მაგალითებია: ა) მიწა; ბ) მიწა და შენობა-ნაგებობები; გ) მანქანა-დანადგარები; დ) გემები; ე) თვითმფრინავები; ვ) სატრანსპორტო საშუალებები; ზ) ავეჯი და მოწყობილობა; თ) საოფისე აღჭურვილობა; და ი) ნაყოფის მომცემი კულტურები.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება: ა) გაყიდვის შემთხვევაში; ან ბ) როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.²¹

საწარმო გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) მიანიჭებს გასაყიდად გამიზნულის კლასიფიკაციას, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით. საწარმო გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს) შეაფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ

²¹ ზასს 16 - ძირითადი საშუალებები - 2015.

ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. საწარმო გრძელვადიან აქტივს (ან გამსვლელ ჯგუფს), რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც მესაკუთრეებზე გასანაწილებელი, შეაფასებს მის საბალანსო ღირებულებასა და განაწილებისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.²² აღნიშნული რეგულირდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 5 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 40 - საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორცაა: ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ბ) გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. საინვესტიციო ქონება უნდა აღიარდეს აქტივად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. საწყის ეტაპზე საინვესტიციო ქონება უნდა შეფასდეს თვითღირებულებით. გარიგების ხარჯები ჩაირთვება საწყის შეფასებაში.²³

მარაგების აღრიცხვა რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 2 - მარაგები. მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე

²² ფასს 5 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები - 2015.

²³ ბასს 40 - საინვესტიციო ქონება - 2015.

დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

რამდენადაც მომსახურების სფეროს საწარმოებს მარაგი გააჩნია, ისინი მათ შეფასებას ახორციელებენ წარმოების თვითღირებულებით. მომსახურების სფეროს საწარმოთა მარაგის თვითღირებულება, ძირითადად, შედგება იმ პერსონალის შრომითი დანახარჯებისაგან, რომლებიც დაკავებულნი არიან უშუალოდ მომსახურების გაწევით, აგრეთვე საშუალო მმართველობითი პერსონალის (კონტროლიორები) შრომითი დანახარჯებისა და მასთან დაკავშირებული ზედნადები ხარჯებისაგან. საერთო ადმინისტრაციული პერსონალისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და გაყიდვასთან დაკავშირებული სხვა სახის დანახარჯები არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში. მათი აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იყო გაწეული. მომსახურების გამწევი საწარმოს მარაგის თვითღირებულება არ შეიცავს მოგების მარჟას, ან გაუნაწილებელ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც ხშირად შედის მომსახურების გამწევის გასაყიდ ფასში.

შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თვითღირებულების განსაზღვრის ისეთი მეთოდები, როგორცაა, ნორმატიული და საცალო ფასების მეთოდი, თუ შედეგები მიახლოებით გაუტოლდება თვითღირებულებას. ნორმატიული მეთოდის დროს მხედველობაში მიიღება ნედლეულისა და მასალების ხარჯვის, სამუშაო ძალის გამოყენების, მწარმოებლურობისა და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ნორმატიული დონეები. ეს ნორმები რეგულარულად უნდა გადაისინჯოს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს თანამედროვე პირობების გათვალისწინებით.

საცალო ფასების მეთოდს უფრო ხშირად საცალო ვაჭრობაში იყენებენ; აქ მარაგი შედგება სწრაფად ცვალებადი დიდი რაოდენობის ელემენტებისაგან, რომლებსაც ერთნაირი მარჟა (სხვაობა გასაყიდ ფასსა და თვითღირებულებას შორის) აქვთ და მათთვის შეუძლებელია თვითღირებულების გაანგარიშების სხვა მეთოდების გამოყენება. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება მარაგის გასაყიდი ფასის მიხედვით, რომელსაც აკლდება საერთო მოგებიანობის დონისათვის დადგენილი გარკვეული პროცენტის შესაბამისი თანხა (მარჟა). პროცენტულ თანაფარდობას იყენებენ იმ მარაგისათვის, რომელთა შეფასება მოხდა ფასდაკლებით, თავდაპირველ

გასაყიდ ფასთან შედარებით. საცალო ვაჭრობის ქვეგანყოფილებაში უფრო ხშირად იყენებენ საშუალო საპროცენტო განაკვეთს.

ცალკეული სახის მარაგის თვითღირებულება, რომლებიც არ არიან ურთიერთშემცვლელი, აგრეთვე სპეციფიკური პროექტისათვის წარმოებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება უნდა განისაზღვროს მათი ინდივიდუალური დანახარჯების სპეციფიკური იდენტიფიკაციით. შესაძლოა გამოყენებულ უნდა იქნეს „ფიფო“ (პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში), ან საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა. საწარმომ თვითღირებულების ერთნაირი ფორმულა უნდა გამოიყენოს ყველა მარაგისათვის, რომლებსაც საწარმოსათვის მსგავსი ბუნება და გამოყენება აქვს. განსხვავებული ბუნების ან გამოყენების მარაგისათვის, შეიძლება თვითღირებულების განსხვავებული ფორმულის გამოყენება.²⁴

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 38 - არამატერიალური აქტივები. ხშირად საწარმოები რესურსებს ხარჯავენ, ან ვალდებულებებს იღებენ ისეთი არამატერიალური რესურსების შექმნის, ექსპლუატაციის ან გაუმჯობესებისათვის, როგორცაა სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნა, ახალი პროცესები ან სისტემები, ლიცენზიები, ინტელექტუალური საკუთრება, ბაზრის შესწავლა და სავაჭრო ნიშნები (სასაქონლო ნიშნისა და პუბლიკაციების დასახელებების ჩათვლით). არამატერიალური აქტივების მაგალითებია: პროგრამული უზრუნველყოფა, პატენტები, საავტორო უფლებები, ფილმები, მომხმარებლების სია, იპოთეკური მომსახურების უფლებები, თევზჭერის ლიცენზიები, კვოტები იმპორტზე, ფრანშიზა, მომხმარებლებთან ან მომწოდებლებთან ურთიერთობები, მომხმარებლების ლოიალობა, ბაზრის წილი და მარკეტინგის უფლებები.

არამატერიალური აქტივის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) მაღალია იმის ალბათობა, რომ საწარმო მიიღებს აქტივიდან მოსალოდნელ მომავალ

²⁴ ბასს 2 - მარაგები - 2015.

ეკონომიკურ სარგებელს; და ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმომ უნდა შეაფასოს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის ალბათობა გონივრული და დასაბუთებადი დაშვებებით, რომლებშიც გათვალისწინებულია იმ ეკონომიკური ვითარების ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საუკეთესო შეფასება, რომელიც იარსებებს აქტივის სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის საწყისი შეფასება უნდა მოხდეს თვითღირებულებით.²⁵

პირობითი აქტივები და ვალდებულებები რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები. პირობითი აქტივი არის შესაძლო აქტივი, რომელიც წარმოიქმნება ადრე მომხდარი მოვლენის შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს.

პირობითი ვალდებულება წარმოადგენს: ა) შესაძლო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს; ან ბ) მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან: (i) მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; ან (ii) ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

ანარიცხი უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც: ა) საწარმოს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; ბ) სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და გ) შესაძლებელია

²⁵ ბასს 38 - არამატერიალური აქტივები - 2015.

ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. აღნიშნული პრობემის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ანარიცხი არ უნდა აღიარდეს.²⁶

²⁶ ბასს 37 - ანარიცხები, პრობითი ვალდებულებები და პრობითი აქტივები - 2015.

თავი 2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება ავტომობილების იმპორტიორი საწარმოს მაგალითზე


2.1 საავტომობილო ბიზნესი საქართველოში

საქართველოში საავტომობილო ბიზნესი კარგად ვითარდებოდა 2015 წლამდე, იმატებდა ავტომობილების იმპორტი, მათი რეალიზაცია და ასევე იზრდებოდა რეექსპორტის რაოდენობაც. 2010-2013 წლებში მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის მოცულობა მუდმივად იზრდებოდა. 2015 წლიდან სხვადასხვა ქვეყნების რეგულაციების გამო შეფერხდა რეექსპორტი, რამაც ავტომატურად იმპორტის შემცირებაც გამოიწვია. მაგალითად, აზერბაიჯანმა აკრძალა ძველი ავტომობილების იმპორტი და საწვავზეც ევროსტანდარტი შემოიღო. მეორე მხრივ, თურქეთიც მიხვდა, რომ საკუთარი ბაზარი დასუსტდა საქართველოდან იმპორტის საფუძველზე და რეგულაციები ძალიან გაამკაცრა. 2015 წლის შემდეგ კომპანიებმა შეძლეს სირთულეების გადალახვა და ამჟამად საავტომობილო ბიზნესი მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

2017 წელს საავტომობილო ბიზნესში რეგისტრირებული იყო 132 926 საწარმო, მათ შორის დაახლოებით სამოცი ათასია აქტიური. ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება თუმცა მცირე რაოდენობით. მთლიანი ბრუნვაც ამ სფეროში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2017 წელს საავტომობილო ბიზნესში ბრუნვა 32 816,3 მლნ ლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 3 531,6 მლნ ლარით მეტია.


გრაფიკი N1. ბრუნვა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (მლნ. ლარი)²⁷

²⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კვარტალური ბიულეტენი, IV 2018




2017 წელს იმპორტირებული მსუბუქი ავტომობილების თანხა იყო 476 559 ათასი აშშ დოლარი, რაც ცოტათი ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. რაც შეეხება ექსპორტს, 2017 წელს მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის თანხა 234 810 ათასი აშშ დოლარი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 40%-ით მეტია. მსუბუქი ავტომობილების იმპორტისა და ექსპორტის მონაცემები წლების მიხედვით გრაფიკული სახით ნაჩვენებია ქვემოთ.

გრაფიკი N2. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი (ათასი აშშ დოლარი)²⁸



გრაფიკი N3. მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)²⁹

²⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კვარტალური ბიულეტენი, IV 2018



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წელს მსუბუქი ავტომობილების იმპორტმა 601 377 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის საერთო იმპორტის 6,6%-ს შეადგენს. იმპორტირებული პროდუქციის დიდი ნაწილი რეექსპორტზე გადის მეზობელ და სხვა ქვეყნებში. გასულ წელს მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა 408 936 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ექსპორტის საერთო მაჩვენებლის 12,2%-ს შეადგენს. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 74%-ით არის გაზრდილი.

ავტომობილების და მოტოციკლების სარემონტო საწარმოების საქმიანობა განისაზღვრება რემონტის მთელი ღირებულებით, დახარჯული მასალებისა და სათადარიგო დეტალების ღირებულების ჩათვლით.


²⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კვარტალური ბიულეტენი, IV 2018

2.2 შპს „ავტო იმპორტი“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

შპს „ავტო იმპორტი“ არის ავტომობილების ოფიციალური ლიცენზირებული იმპორტიორი და დილერი საქართველოში. შპს „ავტო იმპორტი“ ახორციელებს საბითუმო და საცალო ვაჭრობას ავტომობილებით და ასევე ეწევა ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტთან დაკავშირებულ სამუშაოებს. აღნიშნული კომპანია 2007 წლიდან საქმიანობს საქართველოს ბაზარზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელია შპს „ბიზნეს კონსულტაცია“. ჯგუფში არის 5 სხვადასხვა ბრენდის ავტომობილების იმპორტიორი კომპანია, ასევე მხოლოდ ავტონაწილების იმპორტიორი კომპანიები და ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გამწვევი კომპანიები. ჯამში დაახლოებით 10 კომპანია, რომელთა მშობელი კომპანია არის შპს „ბიზნეს კონსულტაცია“. შპს „ბიზნეს კონსულტაცია“ ეწევა შვილობილი კომპანიების მენეჯმენტს, უწევს სხვადასხვა სახის ფინანსურ, იურიდიულ, მარკეტინგულ და სხვა მომსახურებას.

სქემა N1. შპს „ბიზნეს კონსულტაციისა“ და შვილობილი კომპანიების სქემა, შვილობილ კომპანიებში შპს „ბიზნეს კონსულტაციის“ წილის მითითებით



კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბასს 27 „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების“ მიხედვით. კომპანია აქტივებს, ვალდებულებს, კაპიტალს, შემოსავალსა და ხარჯებს აღრიცხავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის ინტერპრეტაციების მიხედვით. იმ შემთხვევებისთვის, როდესაც შეუძლებელია სტანდარტებით აღრიცხვა, კომპანია იყენებს მიღებულ სააღრიცხო პოლიტიკას, რომელთაც შევსებით თითოეული აქტივის, ვალდებულებისა და კაპიტალის განხილვისას. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცნებები გამოყენებულ იქნა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თითოეულ პერიოდზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.


მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2017 წელს, მათ არ აქვთ არსებითი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები. დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალური შედეგისაგან.

კომპანია შემოსავალს იღებს, როგორც ავტომობილების რეალიზაციისგან, ასევე ავტონაწილების რეალიზაციისა და ავტომობილებზე გაწეული ტექნიკური მომსახურებისგან.

გრაფიკი N4. შემოსავლების სტრუქტურა (2017წ.)




კომპანიის ძირითადი შემოსავალი არის ავტომობილების რეალიზაციიდან. ერთ მილიონ ნახევარ ლარზე მეტია შემოსავალი ავტონაწილების რეალიზაციიდან და ავტობილებზე გაწეული მომსახურებიდან. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელთან შედარებით გაყიდვები შემცირებულია, კომპანია მომავალში ვარაუდობს გაყიდვების ზრდას ყველა სფეროში. შემდგომ ცხრილში გამოყოფილია კომპანიის შემოსავალი სხვადასხვა ტიპის რეალიზაციებიდან:

ცხრილი N1. შემოსავალი

ლარი	2017 წელი	2016 წელი
ავტომობილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	12 869 776	18 937 244
ავტონაწილების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	1 208 618	1 275 577
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	305 169	324 137
გაყიდვების უკან დაბრუნება (ავტომობილები)	(58 694)	(254 368)
	14 324 869	20 282 590

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების 93% არის გაყიდული ავტომობილების თვითღირებულება.

გრაფიკი N5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა (2017წ.)



რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში ასევე შედის გაყიდული ავტონაწილების თვითღირებულება და გაწეული მომსახურების თვითღირებულება. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურა შემდეგნაირია:

ცხრილი N2. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2017 წელი	2016 წელი
გაყიდული ავტომობილების თვითღირებულება	11 492 725	15 987 595
გაყიდული ავტონაწილების თვითღირებულება	745 085	778 727
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	106 875	161 688
დაბრუნებული ავტომობილების თვითღირებულება	(60 338)	(244 703)
	<u>12 284 347</u>	<u>16 683 307</u>

ამ ცხრილებიდან შეგვიძლია გავიგოთ რა მარჯა აქვს დაწესებული კომპანიას სხვადასხვა ტიპის რეალიზაციაზე. ავტომობილებზე მარჯა დაბალია, 2016 წელს იყო 15%, თუმცა 2017 წელს მარჯა შეამცირეს 10%-მდე, რათა საავტომობილო ბაზარზე კონკურენტუნარიან გარემოში დარჩენილიყვნენ. ავტონაწილებზე მარჯა სტაბილურია არის 38%. ავტომობილებზე გაწეულ მომსახურებაზე მარჯა მაღალია და 2016 წელს 50% იყო და 2017 წელს კომპანიამ გაზარდა 65%-მდე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 01 იანვარი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	160 617	197 966	218 990
არამატერიალური აქტივები	311	368	432
	160 928	198 334	219 422
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	1 035 322	1 183 998	2 246 513
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	32 820	-	747 135
სხვა საგადასახადო აქტივი	90 340	96 644	92 294
გაცემული სესხები	37 093 861	33 751 793	22 124 860
სავაჭრო მოთხოვნები	2 273 852	1 831 217	2 837 542
გადახდილი ავანსები	1 819 444	240 347	59 737
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	518	502	5 763
	42 346 157	37 104 501	28 113 844
სულ აქტივები	42 507 085	37 302 835	28 333 266

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 01 იანვარი
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი	150	150	150
აკუმულირებული ზარალი	(7 286 828)	(9 648 808)	(12 353 455)
	(7 286 678)	(9 648 658)	(12 353 305)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	19 654 386	9 861 097
	-	19 654 386	9 861 097
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	-	32 117	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	91 645	143 438	151 883
მოკლევადიანი სესხები	27 263 404	2 013 594	9 901 476
სავაჭრო ვალდებულებები	1 566 016	7 397 822	1 406 475
მიღებული ავანსები	20 869 629	17 709 695	19 359 975
თანამშრომელთა ანაზღაურება	3 069	441	5 665
	49 793 763	27 297 107	30 825 474
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	42 507 085	37 302 835	28 333 266

კომპანიის ძირითადი საშუალებები შედგება მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობისგან, ავეჯისა და ოფისის აღჭურვილობისგან, სატრანსპორტო საშუალებებისგან და იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისგან. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი გათვალისწინებულია საერთო ადმინისტრაციულ ხარჯებში. ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად: მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 5-20 წელი; სატრანსპორტო საშუალებები - 5-7 წელი; ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 3-10 წელი. მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობებში კომპანია გულისხმობს ძირითადად ავტომობილებზე ტექნიკური მომსახურების

გასაწევად გამიზნულ მოწყობილობებს, ასევე ძირითადი საშუალებების ამ ჯგუფში შედის ავტომობილების ამწეები, ავტომობილების პოდიუმი, კერხერის აპარატი და სხვ. სატრანსპორტო საშუალებები ავტომობილებია, რომლებსაც კომპანია იყენებს ეკონომიკური საქმიანობისთვის, მაგალითად კომპანიის კურიერი სარგებლობს კომპანიის სახელზე არსებული ავტომობილით. ასევე ძირითადი საშუალებაა ავტომობილი, რომელსაც Test-Drive-ის სახით იყენებს კომპანია მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში. ავეჯი და ოფისის აქლურვილობა მოიცავს მაგიდებს, სკამებს, კომპიუტერულ ინვენტარს, საბეჭდ მოწყობილობებს და სხვ.

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მეთოდის მიხედვით, რაც გულისხმობს რომ ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეტანილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის თანხით.

2016 წელთან შედარებით ძირითადი საშუალებების რაოდენობა შემცირებულია, თუმცა მცირედით. ამ კომპანიის ძირითადი საშუალებები შედგება მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობისგან, ავეჯისა და ოფისის აღჭურვილობისაგან, სატრანსპორტო საშუალებებისა და იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისაგან. ძირითადი საშუალებების ოთხივე შემადგენელი ელემენტი საკმაოდ დიდი თანხებითაა წარმოდგენილი. ძირითად საშუალებებში ყველაზე დიდი ოდენობით არის სატრანსპორტო საშუალებები. ასევე ყველაზე გამავალი ძირითადი საშუალებაა სატრანსპორტო საშუალებებია.

ცხრილი N3. ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მაგალითი იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისა და სატრანსპორტო საშუალების საფუძველზე.

ლარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის მაგალითი იჯარით აღებული ოფისი	სატრანსპორტო საშუალებების მაგალითი ავტომობილი Test-Drive
ღირებულება		
2016 წლის 01 იანვარი	-	-
შემოსვლა	-	41 555,00
გასვლა	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	-	41 555,00
შემოსვლა	1 500,00	-
გასვლა	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	1 500,00	41 555,00
დაგროვილი ცვეთა		
2016 წლის 01 იანვარი	-	-
წლის ცვეთა	-	5 540,00
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-
2016 წლის 31 დეკემბერი	-	5 540,00
წლის ცვეთა	225,00	7 203,00
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	225,00	12 743,00
საბალანსო ღირებულება		
2016 წლის 31 დეკემბერი	-	36 015,00
2017 წლის 31 დეკემბერი	1 275,00	28 812,00

კომპანია არ იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის გაუფასურების მეთოდს, შესაბამისად არ ტარდება ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი. რაც გარკვეულ წილად რისკია იმისა, რომ ძირითადი საშუალებები რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად იქნება შეფასებული და ასევე მათი გამოყენების ვადაც შესაძლებელია დამახინჯებული იყოს.

იჯარით აღებული ქონება არ აღირიცხება ფასს 16 - იჯარა სტანდარტის შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი 2019 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში, შესაბამისად 2017 წლის მონაცემები არ არის აღრიცხული ამ სტანდარტის შესაბამისად. იჯარით აღებული ქონების აღრიცხვა არ არის გადასული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ახალი მეთოდის გამოყენებაზე, თუმცა კომპანია მომავალში ვარაუდობს ამ სტანდარტის დანერგვას კომპანიაში.

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

კომპანიის მარაგები შედგება გასაყიდად გამიზნული ავტომობილებისგან და ავტონაწილებისგან. ავტონაწილებში შედის ავტომობილის ძრავი, კარტერი, ამორტიზატორი, კარდანი, ზეთის ფილტრი, სალონის ფილტრი, ხუნდები, საქარე მინა, სავარძელი, ფარები და სხვ.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

გამოყენებული მარაგის რეზერვი შედგება ნელა ბრუნვადი მარაგისგან, რომელიც მოიცავს მზა პროდუქციას და ასევე ნედლეულს და მასალას, რომელიც მენეჯმენტის აზრით, ნაკლებად გამოყენებადია წარმოებაში მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ან

კომპანია აღარ აწარმოებს პროდუქტს რომლისთვისაც შესაძლებელი იყო აღნიშნული მასალის ან ნედლეულის გამოყენება. სარეზერვო თანხის დასადგენად გამოიყენება სამომავლო ღირებულება მასალაზე, მზა პროდუქციაზე და ასევე მომავალში მოთხოვნად სათადარიგო ნაწილებზე და კომპონენტებზე, რომელიც შეიძლება არაზუსტი აღმოჩნდეს დამკვეთის პრეფერენციების ცვლილების შემთხვევაში, ასევე თუ კომპანია მოუძებნის სხვა გამოყენებას ამ კომპონენტებს, ან მომავალში მოსალოდნელია ფასის ცვლილება მზა პროდუქციაზე.

მენეჯმენტმა შეაფასა ნელა მოძრავი მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება. ეს მოიცავს ძველ ავტომობილებს და ავტონაწილებს, რომლებიც შესაძლოა აღარ იყოს გამოყენებადი. ინვენტარი შეფასებული უნდა იყოს წმინდა რეალური ღირებულებით, არ აქვს მნიშვნელობა გამოყენებადია თუ არა აღნიშნული ინვენტარი. თუმცა რეალური წმინდა სარეალიზაციო ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისაგან.

კომპანიის ზოგიერთი მარაგი არის გამოყენებული როგორც მშობელი კომპანიის სესხების და ასევე საკუთარი სესხების უზრუნველყოფა.

კომპანიას მარაგების სხვადასხვა კატეგორიისთვის აღრიცხვის სხვადასხვა მიდგომა აქვს. ავტომობილებისთვის იყენებს იდენტიფიცირების მეთოდს. ავტომობილები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მოდელით, ძრავის მოცულობით, გამოშვების წელით, ფერით და სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნით. ძრავის მოცულობისა და გამოშვების წელის მიხედვით ასევე განსხვავდება ავტომობილის განბაჟების თანხები. შესაბამისად მათი აღრიცხვისთვის მიზანშეწონილია იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენება. მარაგების აღრიცხვის მაგალითი ავტომობილების საფუძველზე მოცემულია დანართში.

რაც შეეხება ავტონაწილებს და სხვა მარაგებს მათი აღრიცხვა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით. ავტონაწილები უცხოეთიდან შემოდის დაახლოებით ორჯერ თვეში, ასევე ხდება მათი შესყიდვა ადგილზე. მათი გაყიდვაც ხდება ყოველდღიურად. ამიტომ მათი აღრიცხვა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ცხრილი N4. მარაგები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სატრანსპორტო საშუალებები	583 496	645 151
ავტონაწილები	451 826	538 847
	<u>1 035 322</u>	<u>1 183 998</u>

სავაჭრო მოთხოვნების ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო დებიტორული დავალიანების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია, როგორც გონივრული მიაღახლოება სამართლიან ღირებულებასთან.

ცხრილი N5. სავაჭრო მოთხოვნები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან	2 313 885	1 865 028
სხვა მოთხოვნები	108 919	115 141
საექვო სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(148 952)	(148 952)
	<u>2 273 852</u>	<u>1 831 217</u>

სავაჭრო მოთხოვნები ავტომობილების გაყიდვიდან წინა წელთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია, რაც კარგი მაჩვენებელი არაა. სხვა მოთხოვნებში შედის ავტონაწილებისა და ავტომობილებზე მომსახურების გაწევისგან მისაღები თანხები და ასევე სხვა მოთხოვნები. იუმედო ვალების ჩამოწერა ხდება 5 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ. საექვო მოთხოვნების რეზერვი იქნება 5%-იანი ნორმის მიხედვით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები აღიარებულია რეალური ღირებულებით.

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

გაცემული სესხები. კომპანიას გაცემული სესხები აქვს მშობელ კომპანიაზე და დაკავშირებულ მხარეებზე. აღნიშნული სესხები არის მოკლევადიანი და არაუზრუნველყოფილი. სესხები გაცემულია ლარში 19,50%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით. გაცემული სესხები თანხობრივად საკმაოდ დიდია, თუმცა მთლიანი ჯგუფის პრინციპი არის, რომ სესხები გაცემული და მიღებული იყოს დაკავშირებული მხარეებისგან.

გადახდილი ავანსები. გადახდილ ავანსებში შედის როგორც ავტომობილების ჩამოსაყვანად გადახდილი ავანსები, ასევე ავტონაწილების შესაძენად გადახდილი თანხები საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ. გადახდილი ავანსის თანხა გაზრდილია წინა წელთან შედარებით მილიონ ლარზე მეტით, თუმცა ამაში გასათვალისწინებელია ავტომობილების მომწოდებელთან გადახდილი ავანსი ავტომანქანების ჩამოსაყვანად, რომელი ავტომობილებიც 2017 წლის იანვარ-თებერვალში ჩამოვიდა.

ცხრილი N6. გადახდილი ავანსები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	1 778 220	179 576
თანამშრომლებისთვის გადახდილი ავანსები	-	84
სხვა ავანსები	41 224	60 687
	<u>1 819 444</u>	<u>240 347</u>

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის

სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: სესხები და მოთხოვნები; რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით; სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისახება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში.

ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი”, “ფინანსური შემოსავალი” ან სხვა “ფინანსური ხარჯი”, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საექვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა არასაოპერაციო ხარჯების სახით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას

შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

კომპანიამ 2017 წელს დაფარა ყველა გრძელვადიანი სესხი, თუმცა გაზრილია მოკლევადიანი სესხების რაოდენობა და თანხები. უზრუნველყოფილი საბანკო სესხების უზრუნველყოფაა გასაყიდად გამიზნული ავტომობილები და ასევე ძირითადი საშუალებები. აღნიშნული სესხების აღების საფუძველია ავტომანქანების შესაძენად საჭირო თანხების მოზიდვა, ხოლო მათი დაფარვა ხდება ავტომობილების გაყიდვისთანავე.

ცხრილი N7. სესხები

ლარი	მოკლევადიანი სესხები	
	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	4 119 197	190 583
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	23 144 207	1 823 011
	<u>27 263 404</u>	<u>2 013 594</u>

ლარი	გრძელვადიანი სესხები	
	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	-	10 431 376
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	-	9 223 010
	<u>-</u>	<u>19 654 386</u>

კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის გაცემული სესხები დაკავშირებულ მხარეებზე, აგრეთვე მიღებული სესხები დაკავშირებული მხარეებისგან. ხელშეკრულების პირობების თანახმად ყველა ასეთი სესხი გაცემულია ან მიღებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისი საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებულ მხარეებთან. ეს სესხები არის როგორც მშობელ კომპანიასთან, ასევე სხვა დაკავშირებულ მხარეებთან. თანხა საკმაოდ დიდია და გაზრდილია წინა წელთან შედარებით. აღნიშნული სესხების გაქვითვა და გადაფარვა ხდება ყოველი თვის ბოლოს დაკავშირებულ მხარეებს შორის წარმოქმნილი ოპერაციებით. თუმცა აღნიშნული თანხა მცირედია და სესხად აღირიცხება მსხვილი თანხები.

უზრუნველყოფილი საბანკო სესხების უზრუნველყოფა არის ავტომობილები. კომპანია იღებს საბანკო დაწესებულებისგან სესხს, რომლის უზრუნველყოფაცაა ავტომობილები. სესხის დაფარვა ხდება ავტომობილის გაყიდვის მოხდენისთანავე. ამ სესხებს არ აქვს კონკრეტული დაფარვის გრაფიკი. ბანკი სესხს გასცემს საბაზრო პროცენტით. როდესაც იყიდება მანქანა იფარება იმ დროისთვის დარიცხული სესხის პროცენტი და შემდეგ სესხის ძირი.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ცხრილი N8. ფინანსური აქტივები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
სესხები და მოთხოვნები		
გაცემული სესხები	37 093 861	33 751 793
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 422 804	1 980 169
ფული	518	502
	<u>39 517 183</u>	<u>35 732 464</u>

ფინანსურ აქტივებში ყველაზე დიდი თანხით წარმოდგენილია გაცემული სესხები. აღნიშნული სესხები გაცემულია მშობელ კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებზე. გაცემული სესხების მაჩვენებელი გაზრდილია წინა წელთან შედარებით და მომავალ პერიოდებში მისი შემცირება არ არის დაგეგმილი.

ცხრილი N9. ფინანსური ვალდებულებები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული		
სესხები	27 263 404	21 592 239
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 566 017	7 473 564
	<u>28 829 421</u>	<u>29 065 803</u>

მიღებული ავანსები. მიღებული ავანსებში იგულისხმება ის თანხები, რაც ავტომობილების შესაკვეთად აქვს მომხმარებლებს ჩარიცხული და ავტომობილების ჩამოსვლისთანავე მოხდება მათი რეალიზაცია კლიენტებზე. სხვა ავანსები არის თანხები, რომლებიც კლიენტებს წინასწარ აქვთ გადახდილი ან ავტონაწილის შესაძენად ან ავტომობილებზე მომსახურების გაწევისთვის და ასევე სხვა ავანსები.

ცხრილი N10. მიღებული ავანსები

ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
ავტომობილებისთვის მიღებული ავანსები	18 965 132	15 799 165
სხვა ავანსები	1 904 497	1 910 530
	<u>20 869 629</u>	<u>17 709 695</u>

ცვლილებები ფასს-ებში. 2014-2016 წლის განახლებების მიხედვით უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა სხვადასხვა ფასს-ებში.

ბასს-მა გამოსცა არარეალიზებულ ზარალთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება, რომელსაც შეაქვს მცირე შესწორებები ბასს 12-ში მოგებიდან გადასახადები. აღნიშნული შესწორებების მიზანია განმარტოს, როგორ უნდა აღირიცხოს სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ სავალო ინსტრუმენტებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები, განსაკუთრებით მაშინ,

როდესაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება შეამცირებს ქვემოთ მოცემულ სავალო ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას.

ეს ცვლილებები განმარტავს შემდეგ ასპექტებს: არარეალიზებული ზარალი სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ და საგადასახადო მიზნებისათვის თვითღირებულებით განსაზღვრული სავალო ინსტრუმენტებზე წარმოშობს გამოქვითვად დროებით სხვაობებს, იმის მიუხედავად, სავალო ინსტრუმენტის მფლობელი მოელის თუ არა სავალო ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულების ანაზღაურებას მისი გაყიდვით ან გამოყენებით; აქტივის საბალანსო ღირებულება არ ზღუდავს მოსალოდნელი მომავალი დასაბეგრი მოგების შეფასებას; მოსალოდნელი მომავალი დასაბეგრი მოგების შეფასება გამორიცხავს საგადასახადო გამოქვითვას, რომელიც გამოწვეულია დროებითი განსხვავებების შემცირების შედეგად; საწარმომ უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო კანონმდებლობა ზღუდავს თუ არა საგადასახადო მოგების წყაროებს, რომლის მიმართაც მას შეუძლია გამოსაქვითი დროებითი სხვაობის გამოყენება. თუ საგადასახადო კანონმდებლობა ამგვარ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს, საწარმო გამოსაქვით დროებით სხვაობას აფასებს ერთობლივად, ყველა სხვა გამოსაქვით დროებით სხვაობასთან ერთად.

ცვლილების გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად. განახლებებს არ ქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 12 - განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ - გამოყენებულ უნდა იქნეს რეტროსპექტულად ბასს 8-ის - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - შესაბამისად. სტანდარტები, განახლებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული და რომელთა ადაპტირება ჯერ არ მომხდარა კომპანიის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, ზოგიერთი ახალი სტანდარტი, შესწორება და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაცია, გამოქვეყნებული ბასს-ს მიერ, ჯერ არაა ძალაში შესული და მათი ადაპტირება არ მომხდარა კომპანიის მიერ.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაბამისი დებულება იქნება დანერგილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლის შემდეგ პირველივე

სააღრიცხვო პერიოდში. სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოცემულია, მოსალოდნელია, რომ არსებით გავლენას არ იქონიებს კომპანიის ანგარიშებზე.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები”-თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 “ფინანსური ინსტრუმენტები”: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება “მოსალოდნელი ზარალი” ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9, ასევე გვთავაზობს ახალ სახელმძღვანელო მითითებებს ჰეჯირების აღრიცხვაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე. ახალი სტანდარტი მოთხოვნის მიხედვით, გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ფასს 16 - იჯარა წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს იჯარა აღრიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი “გამოყენების უფლებით” და საიჯარო ვალდებულება. ფასს 16 ასევე: ცვლის იჯარის განმარტებას; აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და იჯარის (გამოყენების) ვადა; ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე; ცვლის აღრიცხვას გაყიდვის და უკუიჯარის გარიგებებზე; ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას; გვაცნობს ახსნა განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს. ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტის ვადამდელი გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 “ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.” ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია ამ ცვლილების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის ყველა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან

დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ფასიკ 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად განიხილავს როგორ განისაზღვრება ოპერაციის თარიღი იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას. ფასიკ 22 მიმართავს ამ საკითხს რომ განმარტოს იმ სავალუტო კურსის დასადგენად, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას, ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდის, ან მიღების შედეგად წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თუ ავანსად გადახდის ან მიღების ბევრი შემთხვევა არსებობს, საწარმომ ოპერაციის თარიღი ცალ-ცალკე უნდა დაადგინოს თითოეული გადახდილი ან მიღებული საავანსო ანაზღაურებისათვის. ფასიკ 22 ეფექტურია 2018 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ნებადართულია ინტერპრეტაციის ვადაზე ადრე გამოყენება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ჩადებული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდის გაუნაწილებელ მოგებას ან ზარალს. მშობელი კომპანიის მფლობელების ყველა ტრანზაქცია არის ასახული კაპიტალში ცალ-ცალკე.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი არის 150 ლარი, რომელიც მთლიანად გადახდილია ნაღდი ფულით. საწესდებო კაპიტალის გაზრდა და შემცირება შესაძლებელია კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდების გამოცხადებაზე გადაწყვეტილებას იღებენ კომპანიის მფლობელები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

კომპანიას არ აქვს გადაფასების რეზერვი. კომპანია არ ახორციელებს ძირითადი საშუალებების გადაფასებას, არც მარაგების გადაფასებას არ ახდენს და არც უცხოურ ვალუტაში არსებული თანხების.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში **ანარიცხი** აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა.

როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია, ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებლად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

საგარანტიო ანარიცხები. კომპანიას აქვს საგარანტიო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ის მომხმარებლებს პირდება გაყიდულ მანქანებზე გარკვეული სახის ზიანის ანაზღაურებას ან, ზოგიერთ შემთხვევაში გაყიდული ავტომობილის სრულად ჩანაცვლებას.

კომპანია საგარანტიო მომსახურებას გასცემს 150 000 კილომეტრზე, ან 5 წელზე, რომელიც უფრო ადრე დადგება. საგარანტიო თანხები ითვლება წლის ბოლოს არსებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც სარგებლობენ საგარანტიო მომსახურებით, ასევე კომპანიის წინა გამოცდილებების

მიხედვით და მოსალოდნელი საგარანტიო მომსახურების მიხედვით ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც ასევე სარგებლობენ საგარანტიო მომსახურებით.

მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანიას აქვს უფლება, რომ მიიღოს კლიენტებისათვის გაწეული საგარანტიო მომსახურების ანაზღაურება. ცალკე აქტივი აღიარებული იქნება ბალანსში საგარანტიო მოთხოვნებისათვის მომწოდებლებისგან. საგარანტიო თანხები და საგარანტიოდან ჩარიცხული თანხები არ უნდა აისახოს ბალანსში, თუ მენეჯმენტი თანხმდება რომ მათ შორის განსხვავება არაარასებითია.

მოგების გადასახადი. მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგება/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას. 2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრანულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა. მოგების გადასახადი წარმოქმნილი დივიდენდების განაწილებიდან, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის

მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

საგადასახადო ვალდებულებისათვის შესაძლებელია მოგების გადასახადის ჩათვლა, 2017 წელს ან მოგვიანებით ნებისმიერი გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდისათვის, წინა მოდელის მიხედვით 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დროებითი სხვაობების გამო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მის საგადასახადო ბაზას შორის დასაბეგრი მოგების განანგარიშების დროს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება უნდა აღიარდეს ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობების მიხედვით. გადავადებული საგადასახადო აქტივი უნდა აღიარდეს ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობის მიხედვით, იმ პირობით, რომ მომავალში, მოსალოდნელია საგადასახადო მოგების წარმოშობა, რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობის გამოყენება. ასეთი გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არ აღიარდება თუ დროებითი სხვაობები გამოწვეულია გუდვილისგან ან თავდაპირველი აღიარებისაგან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა) სხვა აქტივებისა და ვალდებულებების იმ ოპერაციებში რომლებიც არ ახდენს გავლენას არც დასაბეგრი მოგებაზე, არც სააღრიცხვო მოგებაზე.

საწარმომ გადავადებული საგადასახადო ვალდებულება უნდა აღიაროს ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობებისათვის, რომელიც დაკავშირებულია დაკავშირებულ მხარეებთან ერთობლივ საქმიანობაში წილობრივ მონაწილეობასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კომპანიას შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობების ცვლილების ქრონომეტრულობა და თუ მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა არ ამოიწურება უახლოეს მომავალში. საწარმომ გადავადებული საგადასახადო აქტივი

უნდა აღიაროს ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობებისათვის, რომელიც წარმოიშობა დაკავშირებულ მხარეებთან ერთობლივ საქმიანობაში წილობრივი მონაწილეობის შედეგად, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ამოიწურება მომავალში და იარსებებს საგადასახადო მოგება, რომლის მიმართ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და უნდა შემცირდეს თუ დიდხანს მოსალოდნელი არ არის საკმარისი საგადასახადო მოგების მიღება, რათა შესაძლებელი იყოს ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებით გარკვეული შეღავათის განხორციელება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები უნდა შეფასდეს იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდება აქტივის გაყიდვა, ან ვალდებულების დაფარვა, იმ საგადასახადო განაკვეთებისა (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომლებიც უკვე შესულია ძალაში ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და გადავადებული საგადასახადო აქტივების სიდიდის გაანგარიშებებმა უნდა ასახოს ის საგადასახადო შედეგები, რომლებიც გამომდინარეობს საწარმოს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებისა და ვალდებულებების დაფარვის წესიდან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება იძლევა ინფორმაციას კომპანიის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა და ფინანსური ანგარიშგების სხვა კომპონენტების ანალიზი იძლევა სრულ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ამ ინფორმაციას იყენებენ, როგორც შიდა მომხმარებლები, ასევე გარე მომხმარებლები. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ხდება პროგნოზირება, გადაწყვეტილებების მიღება და მომავალი გეგმების დასახვა.

ინფორმაცია, ანგარიშვალდებული საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ხასიათისა და სიდიდის შესახებ, მომხმარებლებს დაეხმარება ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. ამ მონაცემების გაანალიზების შემდეგ საწარმოს ხელმძღვანელობას შეუძლია კიდევ უფრო მეტად განავითაროს კომპანიის ძლიერი მხარეები და იფიქროს სუსტი მხარეების გამოსწორებისათვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ეხმარება ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში, საწარმოს საქმიანობის შესახებ მომავალი პერიოდის პროგნოზირებასა და დაგეგმვაში.

ჩვენს მიერ განხილული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მაგალითზე შეგვიძლია დავინახოთ კომპანიის სუსტი მხარეები, შეგვიძლია გავცეთ რეკომენდაციები და შევთავაზოთ აღრიცხვის მეთოდები ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით.

აღნიშნული ჯგუფი და შესაბამისად, ჩვენს მიერ განხილული კომპანია, ერთ-ერთ წამყვან ჯგუფად ითვლება საავტომობილო ბიზნესში საქართველოში.

კომპანიას არ აქვს გადაფასების რეზერვი. კომპანია არ ახორციელებს ძირითადი საშუალებების გადაფასებას. რაც გარკვეულ წილად რისკია იმისა, რომ, მაგალითად, ძირითადი საშუალებები რეალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასად იქნება შეფასებული და ასევე მათი გამოყენების ვადაც შესაძლებელია დამახინჯებული იყოს. ასევე,

კომპანია ზოგადად არ ქმნის რეზერვებს. აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობამ იფიქროს რეზერვების შექმნაზე.

კომპანიამ 2017 წელს დაფარა ყველა გრძელვადიანი სესხი, თუმცა გაზრდილია მოკლევადიანი სესხების რაოდენობა და თანხები. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია გასაყიდად გამიზნული ავტომობილებით (საქონლით). აღნიშნული სესხების აღების საფუძველია ავტომანქანების შესაძენად საჭირო თანხების მოზიდვა. ამ სესხებს არ აქვს კონკრეტული დაფარვის გრაფიკი, მათი დაფარვა ხდება ავტომობილების გაყიდვისთანავე. ბანკი სესხს გასცემს საბაზრო პროცენტით. როდესაც იყიდება ავტომობილი იფარება იმ დროისთვის დარიცხული სესხის პროცენტი და შემდეგ სესხის ძირი. აქ პრობლემური საკითხია ის, რომ კომპანიას ფულადი სახსრების მოძიება უწევს საბანკო დაწესებულებებიდან და ალტერნატიული გზებით ვერ ახერხებს ფულადი ნაკადების მოზიდვას.

არაუზრუნველყოფილი სესხები არის, როგორც მშობელ კომპანიასთან, ასევე სხვა დაკავშირებულ მხარეებთან. თანხა საკმაოდ დიდია და გაზრდილია წინა წელთან შედარებით. აღნიშნული სესხების გაქვითვა და გადაფარვა ხდება ყოველი თვის ბოლოს დაკავშირებულ მხარეებს შორის წარმოქნილი ოპერაციების თანხებით. თუმცა აღნიშნული თანხა მცირედია და სესხად აღირიცხება მსხვილი თანხები.

ასევე კომპანიას გაცემული სესხები აქვს მშობელ კომპანიაზე და დაკავშირებულ მხარეებზე. აღნიშნული სესხები არის მოკლევადიანი და არაუზრუნველყოფილი. გაცემული სესხები თანხობრივად საკმაოდ დიდია, თუმცა მთლიანი ჯგუფის პრინციპი არის, რომ სესხები გაცემული და მიღებული იყოს დაკავშირებული მხარეებისგან.

ჯგუფის ამჟამინდელი პოლიტიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ჯგუფის შიგნით აღებული და გაცემული სესხების შემცირება ვერ ხერხდება. აუცილებელია კომპანიამ დაიწყოს გაცემული სესხების შემცირება, რათა გამოითავისუფლოს ფულადი სახსრები ავტომობილების შესაძენად. რაც თავის მხრივ, შეამცირებს ავტომობილების შესაძენად აღებულ სესხებს. ეს ცვლილება საკმაოდ მასშტაბურია და აუცილებელია ჯგუფის ყველა წევრმა შეამციროს ერთმანეთისგან აღებული და ერთმანეთზე გაცემული სესხები. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯგუფში არ იგეგმება ამ საკითხზე ცვლილებები.

ჯგუფი დიდი ხანია ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, რაც კიდევ უფრო ართულებს მის შეცვლას.

შესაძლებელია ინვესტორის მოძიება, რათა კომპანიას გაუჩნდეს ფულადი სახსრები ავტომობილების შესაკვეთად და არ გახდეს საჭირო ამ მიზნით სესხის აღება. საავტომობილო ბიზნესი საქართველოში მზარდი ტენდენციით ხასიათდება და ინვესტორის დაინტერესებაც შესაძლებელია. კომპანია ინვესტორის ძიების პროცესშია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალური საფუძვლები. 2015.
2. ფასს 5 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები - 2015.
3. ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - 2015.
4. ბასს 2 - მარაგები - 2015.
5. ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - 2015.
6. ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - 2015.
7. ბასს 27 - ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება - 2015.
8. ბასს 37 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები - 2015.
9. ბასს 38 - არამატერიალური აქტივები - 2015.
10. ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება - 2015.
11. ბასს 40 - საინვესტიციო ქონება - 2015.
12. დოლიაშვილი თ., ლილუაშვილი გ. - ბუღალტრული აღრიცხვა, ქ. თბილისი, 2015.
13. კვატაშიძე ნ. - კორპორაციული ანგარიშგება, ლექციების კურსი, ქ. თბილისი, 2018.
14. ხარაბაძე ე. - ბუღალტრული აღრიცხვა, ქ. თბილისი, 2009.
15. ხარაბაძე ე. - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ქ. თბილისი, 2018.
16. ხარაბაძე ე. - ფინანსური აღრიცხვა, ქ. თბილისი, 2013.
17. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ. - ბუღალტრული აღრიცხვა, ქ. თბილისი, 2008.
18. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ლექციების კურსი - ავტორთა კოლექტივი, ქ. თბილისი, 2017.
19. ფინანსური ანგარიშგება - ACCA, 2017.
20. www.geostat.ge

დანართი

ცხრილი N1. ძირითადი საშუალებები

ლარი	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება					
2016 წლის 01 იანვარი	114 296	109 681	139 861	51 859	415 697
შემოსვლა	8 850	1 728	50 579	-	61 157
გასვლა	-	(248)	(58 955)	-	(59 203)
2016 წლის 31 დეკემბერი	123 146	111 161	131 485	51 859	417 651
შემოსვლა	-	6 291	-	2 165	8 456
გასვლა	(767)	(383)	(16 526)	-	(17 676)
2017 წლის 31 დეკემბერი	122 379	117 069	114 959	54 024	408 431
დაგროვილი ცვეთა					
2016 წლის 01 იანვარი	64 405	60 767	46 946	24 590	196 708
წლის ცვეთა	11 234	9 251	23 009	4 091	47 585
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(17)	(24 591)	-	(24 608)
2016 წლის 31 დეკემბერი	75 639	70 001	45 364	28 681	219 685
წლის ცვეთა	9 499	8 643	16 817	3 758	38 717
გასვლის შედეგად ელიმინირება	(702)	(272)	(9 614)	-	(10 588)
2017 წლის 31 დეკემბერი	84 436	78 372	52 567	32 439	247 814
საბალანსო ღირებულება					
2016 წლის 31 დეკემბერი	47 507	41 160	86 121	23 178	197 966
2017 წლის 31 დეკემბერი	37 943	38 697	62 392	21 585	160 617

ცხრილი N2. მარაგების აღრიცხვის მაგალითი ავტომობილების საფუძველზე

N	ავტომობილი	ძრავის მოცულობა	რაოდენობა (ცალი)	საინვოისო ღირ-ბა (\$)	ტრანსპორტირება (\$)	კურსი	განბაჟების თანხა (ლარი)	დასაწყობების ხარჯი (ლარი)	სულ თვითღირებულება (ლარი)
1	მოდელი N 1	1248	1	6 900,00	470,00	2,4181	2 117,52	2,50	19 941,42
2	მოდელი N 1	1248	1	7 100,00	470,00	2,4181	2 117,52	2,50	20 425,04
3	მოდელი N 2	1248	1	8 000,00	470,00	2,4181	2 117,52	2,50	22 601,33
4	მოდელი N 2	1368	1	10 100,00	470,00	2,4181	2 303,82	2,50	27 865,64
5	მოდელი N 3	1591	1	13 100,00	470,00	2,4181	2 650,03	2,50	35 466,15
6	მოდელი N 4	2665	1	11 200,00	550,00	2,4181	180,00	2,50	28 595,18
7	მოდელი N 5	1995	1	18 100,00	470,00	2,4181	3 277,24	2,50	48 183,86
8	მოდელი N 5	1999	1	15 300,00	470,00	2,4181	3 283,45	2,50	41 419,39
9	მოდელი N 5	1999	1	16 400,00	470,00	2,4181	3 283,45	2,50	44 079,30
10	მოდელი N 5	2359	1	22 300,00	470,00	2,4181	3 842,35	2,50	58 904,99
11	მოდელი N 6	1999	1	15 600,00	470,00	2,4181	3 283,45	2,50	42 144,82
12	მოდელი N 6	2359	1	22 100,00	470,00	2,4181	3 842,35	2,50	58 421,37
				166 200,00	5 720,00			30	448 048,45